კლასტერების მენეჯმენტი

კლასტერების არსი და მნიშვნელობა

ევგენი ბარათაშვილი
სტუ-ს პროფესორი

ირმა ბარათაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცრებული პროფესორი

მოკლე შინაარსი

← 1.1. კლასტერების წარმოშობის სასტარტო პირობები
და კლასტერების ნიშნები
← 1.2. კლასტერების კლასიფიკაცია და კლასტერული
მიდგომების უპირატესობანი
← 1.3. რეგიონული კლასტერები

1.1. კლასტერების წარმოშობის სასტარტო პირობები

ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე პერიოდის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობის და წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ზრდის საფუძველზე მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონისა და ხარისხის უზრუნველყოფა. ამიტომაც საქართველო, ისევე როგორც ნებისმიერი ქვეყანა, მთელს მსოფლიოში დგება ეკონომიკური განვითარების მოქმედი წყაროების აქტივიზაციის, ახალი წყაროებისა და დადებითი დინამიკის ფაქტორების ძიების აუცილებლობის წინაშე.

როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული ამოცანა დღესდღეობით არის ეროვნული კონკურენტუნარიანობის ზრდა და სამამულო კომპანიების წილის გაფართოება შიგა და მსოფლიო ბაზრებზე, მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება.

მსოფლიო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი გლობალიზაციის, საერთაშორისო კონკურენციის გაძლიერების პროცესები წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის მართვის პარადიგმის ცვლილების ობიექტურ წანამძღვარს. აღნიშნული პარადიგმა მდგომარეობს ტრადიციული სამრეწველო პოლიტიკის უარყოფასა და წარმოების ორგანიზაციის ახალ სისტემაზე გადასვლაში, რომელიც ემყარება სპეციალიზაციისა და კოოპერაციის უპირატესობათა გამოყენებას.

ტექნოლოგიების, ლოგისტიკის, სატრანსპორტო საშუალებების განვითარებამ გამოიწვია ის, რომ ინფორმაციის გადაცემა, ფინანსური ნაკადების მოძრაობა, პრაქტიკულად, წამიერი გახდა, ტვირთის ტრანსპორტირება კი – იაფი და სწრაფი. ამასთან დაკავშირებით, კონკურენტებთან შედარებით უპირატესობის მოპოვებისა და მისი შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ხდება არა მხოლოდ ინოვაცია და განათლება, არამედ საწარმოებს შორის კავშირი, რასაც უზრუნველყოფს ქსელური სტრუქტურების – კლასტერების შექმნის პირობები.

ე. წ. ახალი ინდუსტრიული ქვეყნების გამოცდილება მოწმობს იმას, რომ სამრეწველო სტრუქტურის სრულყოფა, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება შესაძლოა, ძალზე ეფექტიანი აღმოჩნდეს წვრილ და საშუალო კომპანიებთან წამყვანი მწარმოებლების სუბკონტრაქტული ურთიერთობების დივერსიფიცირებული სისტემების არსებობის პირობებში. ეს უკანასკნელნი თავიანთ თავზე იღებენ ცალკეული კვანძებისა და კომპონენტების კონსტრუირებისა და წარმოების წვრილი სპეციალიზებული ამოცანების გადაწყვეტას.

ამრიგად, თანამედროვე ინდუსტრიულ კომპლექსში ინტეგრირებული წვრილი მრეწველობა მისი მოდერნიზაციის ფაქტორი ხდება. ის ასევე ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებაზე ორიენტირებული საწარმოო კლასტერების ჩამოყალიბებას. უზრუნველყოფს არა მარტო ექსპორტის განვითარებას, არამედ იმპორტჩანაცვლების ზრდასაც, რაც არსებითად ცვლის მცირე ბიზნესის როლს საზოგადოების ეკონომიკურ სისტემაში. მცირე საწარმოები წარმოადგენს არა მხოლოდ მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, წარმოების რესტრუქტურიზაციის, მისი კონკურენტუნარიანობისა და ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორს.

1. კლასტერების არსი, მათი სახეები და როლი ეკონომიკაში. კლასტერი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული კომპანიების: მოწყობილობათა მომწოდებლების, მაკომპლექტებელი, სპეციალიზებული მომსახურების, ინფრასტრუქტურის, ასევე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სხვა ორგანიზაციების გეოგრაფიულად ლოკალიზებულ ურთიერთშემავსებელ ჯგუფს, რომელიც აძლიერებს ცალკეული კომპანიისა და მთლიანობაში კლასტერის კონკურენტულ უპირატესობებს.[1]

კლასტერის ცნება დასავლურ ლიტერატურაში, კერძოდ კი, ეკონომიკურ თეორიაში, შემოღებულ იქნა მაიკლ პორტერის მიერ: „კლასტერი – არის განსაზღვრულ დარგებში გეოგრაფიული ნიშნით კონცენტრირებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიების, სპეციალიზებული მომწოდებლების, მომსახურების მომწოდებლების, შესაბამის დარგებში მომუშავე ფირმების, ასევე მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციების ჯგუფები (მაგალითად, უნივერსიტეტები, სტანდარტიზაციის სააგენტოები, აგრეთვე, სავაჭრო გაერთიანებები), რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, მაგრამ, იმავდროულად, ეწევიან ერთობლივ საქმიანობას“.[2] ამრიგად, კლასტერად ჩამოყალიბებისათვის გეოგრაფიულად მოსაზღვრე ურთიერთდაკავშირებული კომპანიები და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციები უნდა მოქმედებდეს განსაზღვრულ სფეროში, აერთიანებდეს ერთობლივი საქმიანობა და ავსებდეს ერთმანეთს.

ტერმინი „კლასტერი“ ეკონომისტებს შორის პოპულარული გახდა XX საუკუნის 80-იანი წლებიდან. ამჟამად კლასტერული მიდგომის გამოყენება განიხილება, როგორც ტერიტორიების განვითარების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზა.

წიგნში „ქვეყანათა კონკურენტული უპირატესობანი“ (1990) – მ. პორტერმა განმარტა კლასტერების ფენომენი, წამოაყენა ეროვნული, სახელმწიფო და ადგილობრივი კონკურენტუნარიანობის თეორია მსოფლიო ეკონომიკის კონტექსტში, დაასაბუთა კლასტერების თეორიის ისტორიული და ინტელექტუალური წანამძღვრები. მან აღნიშნა, რომ კლასტერები, პრაქტიკულად, ყველა ეროვნული, რეგიონული და დედაქალაქის ეკონომიკის ნათლად გამოხატული თავისებურებაა.[3]

კონკურენტული უპირატესობების წყაროების განვითარების ხარისხსა და მნიშვნელობას განსაზღვრავს კონკურენციის განვითარების სტადიები, ასევე, სახელმწიფოების, რეგიონებისა და საწარმოების ეკონომიკური ზრდის მოდელები. სამრეწველო საწარმოები ქმნის საფუძველს ეროვნული სიმდიდრის მოხმარებისა და გადიდებისათვის, აქედან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ მათ კონკურენტუნარიანობას.[4]

მთლიანობაში კლასტერების არსებული 3 ვრცელი განმარტება ხაზს უსვამს მათი ფუნქციონირების ძირითად ნიშნებს:

1. მონათესავე სექტორების შიგნით ეკონომიკური აქტივობის რეგიონულად შეზღუდული ფორმები, რომლებიც, ჩვეულებრივ, მიმაგრებულია ამა თუ იმ სამეცნიერო დაწესებულებებზე (სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებზე, უნივერსიტეტებზე და ა. შ.);

[1] Руднева, П. С. Опыт создания структурных кластеров в развитых странах (Электронный ресурс) // Экономика региона. 2007. № 18. Ч.2 (декабрь) Режим доступа: http// journal.vlsu.ru

2 Портер, М. Конкуренция. М.: Издат. Дом «Вильямс», 2003г.76-77.

[3] Горшенева, О. В. Кластеры: сущность, виды, принципы организации и создания в регионах // Экономический вестник Ростовского государственного университета. 2006. № 4. Ч.2.

[4] Егоров, О. И. Зарубежный опыт региональной науки, региональной политики и территориального развития / О. И. Егоров, О. А. Чигаркина // Регион: экономика и социология. 2006. №1.

2. ვერტიკალური საწარმოო ჯაჭვი, სექტორთა ვიწრო წრე, რომელშიც საწარმოო პროცესის მომიჯნავე ეტაპები წარმოქმნის კლასტერის ბირთვს (მაგალითად, ჯაჭვი „მიმ წოდებელი – მწარმოებელი – გამსაღებელი – კლიენტი“). ამავე კატეგორიაში ხვდება სათავო ფირმების ირგვლივ შექმნილი ქსელები;
3. მრეწველობის დარგები (მაგალითად, „ქიმიური კლასტერი“) ან სექტორების ერთობლიობა აგრეგაციის უფრო მაღალ დონეზე (მაგალითად, „აგროსამრეწველო კლასტერი“).[1]

სისტემური მიდგომის პოზიციიდან გამომდინარე, კლასტერი არის განსხვავებულ დარგებში მომუშავე სამეურნეო საქმიანობის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული სუბიექტების ერთობლიობა, რომლებიც გაერთიანებულია ერთიან ორგანიზაციულ სტრუქტურაში და ერთობლივად ფუნქციონირებს განსაზღვრული მიზნით. რამდენიმე დამოუკიდებელი მეურნე სუბიექტისაგან ეფექტიანი ტექნოლოგიური ჯაჭვის ფორმირება სტრატეგიული ღონისძიებაა, რომელიც მოითხოვს განსაზღვრულ გრძელვადიან დაბანდებებს მათ რეალიზაციაში და შესაძლებელია მხოლოდ მათი თვითორგანიზაციის საშუალებით, აღნიშნული პოტენციური სისტემების შიგნით და გარეთ შექმნილი წანამძღვრების ურთიერთქმედების შედეგად. ასეთმა ურთიერთქმედებამ შეიძლება, დამატებითი მოგება მოუტანოს თითოეული სუბიქტს, სტიმული მისცეს ფუნქციონირების ერთიანი სისტემის შექმნას, უწყვეტი მთლიანი სისტემის უზრუნველყოფას.[2]

აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკის კლასტერული განვითარება არის ბიზნესის განსაზღვრული ინსტრუმენტი. საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული საზოგადოება თავისი მეურნე სუბიექტებისთვის საქმიანობის წესებს აყალიბებს კანონების, ურთიერთდამოკიდებულებების, საბანკო სექტორის, მხარდაჭერის ინსტიტუტებისა და ა. შ. მეშვეობით. ამიტომაც, მოცემული წესების ფარგლებში არსებული კლასტერი სხვა არა არის რა, თუ არა განსაზღვრული სახით ორგანიზებული სივრცე, რომელიც წარმატებით განვითარების საშუალებას აძლევს მსხვილ ფირმებს, მცირე საწარმოებს, მომწოდებლებს (მოწყობილობების, მაკომპლექტებელი, სპეციალიზებული მომსახურების), ინფრასტრუქტურის ობიექტებს, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვა ორგანიზაციებს. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ კლასტერში უპირველესად მიიღწევა სინერგეტიკული ეფექტი, იმდენად, რამდენადაც კონკურენტი საწარმოების მონაწილეობა ურთიერთმომგებიანი ხდება.[3]

კლასტერები შეიძლება, იდენტიფიცირებულ იქნეს, როგორც გრძელვადიანი კონტრაქტების საფუძველზე რესურსებისა და სპეციფიკური უპირატესობების ეფექტიანი გამოყენების გზით სამეწარმეო პროექტების ერთობლივი რეალიზაციისთვის გაერთიანებული ამა თუ იმ ბაზრის მონაწილე ფირმების ჯგუფი. ისინი უპირატესად იყენებენ ჰორიზონტალურ კავშირებს, სპეციალიზაციას და ავსებენ ერთმანეთს, რითაც აახლოებენ უფრო მაღალი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

კლასტერის განმასხვავებელი ნიშანია მიზნობრივი სამეწარმეო საქმიანობა. კლასტერის ფარგლებში ერთიანდება არა მხოლოდ წარმოებითი, არამედ ინოვაციური ბიზნესი, პროდუქციის ხარისხის კომპლექსური მართვა, სერვისული მომსახურება. მეწარმეების, მმართველობის ორგანოების, საინვესტიციო და ინოვაციური საქმიანობის სუბიექტების ძალისხმევის გაერთიანება განსაზღვრულ ტერიტორიაზე მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს მათ კონკურენტულ ბრძოლაში, ხელს უწყობს საწარმოო-საბაზრო პროცესების რაციონალიზაციას, რისკების გადანაწილებას და სწრაფად ცვალებადი კონიუნქტურის პირობებში მეტად საჭირო მოქნილი პოლიტიკის გატარებას. ძალისხმევის ამგვარი გაერთიანება განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ ეფექტიანი აღმოჩნდა.

უნდა აღინიშნოს, რომ კლასტერები ქმნის პირობებს ინვესტიციების მოსაზიდად, რადგან მათი შექმნისთვის საჭირო ინიციატივა, ინო-

[1] **Цихан, Т. В.** Кластерная теория экономического развития // Теория и практика управления. 2003. №5

[2] **Ларионова, Н. А.** Кластерный подход в управлении конкурентоспособностью региона // Экономический вестник Ростовского государственного университета. 2007 г. № 1. Ч.2.78-79.

[3] **Ларионова, Н. А.** Кластерный подход в управлении конкурентоспособностью региона // Экономический вестник Ростовского государственного университета. 2007. № 1. Ч.2.78-79.

ვაციები, ინტეგრაცია, ინტერესი ინვესტორების მოზიდვის აუცილებელი პირობაა.

საწარმოთა გაერთიანების კლასტერული ტექნოლოგიების დანერგვა ხელს უწყობს სამეწარმეო სტრუქტურების საქმიანი აქტივობის ზრდას, ქვეყნის რეგიონში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას, სოციალური, ეკონომიკური, ინფორმაციული და ინტეგრაციული სისტემების განვითარებას, რაც, თავის მხრივ, იმპულსს აძლევს მეწარმეობის უფრო ინტენსიურ განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვასა და ტერიტორიების ეკონომიკურ აღმავლობას.

კლასტერული მოდელის დანერგვის მთავარი ამოცანაა მეწარმეთა ფსიქოლოგიის შეცვლა, საერთო ეკონომიკური მოგების მისაღებად კლასტერული გაერთიანების ყველა მონაწილის პატიოსანი, ღია და ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის შესაძლებლობის გაგება.

საწარმოთა შემადგენლობის თვალსაზრისით, კლასტერი შეიძლება იყოს მრავალრიცხოვანი ან მცირერიცხოვანი, ან მოიცავდეს დიდ და მცირე საწარმოებს სხვადასხვა თანაფარდობით. ის წარმოადგენს იმ „ასპარეზს“, სადაც ხორციელდება რეალუ რი ურთიერთქმედება ადგილობრივ სამეწარმეო სტრუქტურებს, ასევე სამეწარმეო სტრუქტურებსა და სხვა ინსტიტუტებს შორის.

შეიძლება გამოიყოს კლასტერებისათვის დამახასიათებელი 12 მაჩვენებელი:

- კვლევისა და განვითარების შესაძლებლობები;
- სამუშაო ძალის კვალიფიკაცია;
- შრომითი პოტენციალის განვითარება;
- მომწოდებლების სიახლოვე;
- კაპიტალის არსებობა;
- სპეციალიზებული მომსახურების ხელმისაწვდომობა;
- ურთიერთობები მოწყობილობის მომწოდებლებთან;
- ასოცირებადი სტრუქტურები;
- ქსელების ფორმირების ინტენსივობა;
- სამეწარმეო ენერგია;
- ინოვაციები და სწავლება;
- კოლექტიური ხედვა და ხელმძღვანელობა.[1]

[1] **Руднева, П. С.** Опыт создания структурных кластеров в развитых странах (Электронный ресурс) // Экономика региона. 2007. № 18. Ч.2 (декабрь) Режим доступа: http// journal.vlsu.

ყველაზე განვითარებულ კლასტერებს აქვთ ხუთი პრინციპული მახასიათებელი, რომელთაგან პირველი სამი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც კლასტერების შექმნის სასტარტო წანამძღვარი:

1. კონკურენტუნარიანი საწარმოების არსებობა. კლასტერის განვითარების საკვანძო პირობაა ბაზარზე კონკურენტუნარიანი საწარმოების არსებობა მასში. დეპრესიულ საწარმოებში დასაქმების კონცენტრაცია შეიძლება გახდეს კლასტერის ფორმირებისა და განვითარების წანამძღვარი, მაგრამ მისი ფუნქციონირების კრიტერიუმს ის არ წარმოადგენს. კონკურენტუნარიანობის ინდიკატორად შეიძლება განვიხილოთ: კლასტერში შემავალი კომპანიებისა და სექტორების მწარმოებლურობის შედარებით მაღალი დონე, პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტის მაღალი დონე, კომპანიების საქმიანობის მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლები.

2. კლასტერების განვითარებისთვის კონკურენტული უპირატესობების არსებობა რეგიონში. მაგალითად, მომგებიანი გეოგრაფიული მდებარეობა; ნედლეულის ხელმისაწვდომობა; სპეციალიზებული ადამიანური რესურსების, მაკომპლექტებელი მომსახურების მომწოდებლების, სპეციალიზებული სასწავლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მწარმოებელი სპეციალიზებული ორგანიზაციების, აუცილებელი ინფრასტრუქტურის არსებობა და სხვა ფაქტორები. ტერიტორიის კონკურენტული უპირატესობების ინდიკატორებად შეიძლება, განხილულ იქნას მოზიდული უცხოური ინვესტიციების შედარებით მაღალი დონე კლასტერში შემავალი საწარმოების ან სექტორების დონეზე.

3. გეოგრაფიული კონცენტრაცია და სიახლოვე. კლასტერების მთავარი მონაწილეები ერთმანეთთან გეოგრაფიულად ახლოსაა განლაგებული და აქვთ აქტიური ურთიერთქმედების შესაძლებლობა. გეოგრაფიული მასშტაბი შეიძლება, იცვლებოდეს კლასტერის ტიპიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე და მოიცავდეს ქვეყნის ერთ ან რამდენიმე რეგიონს. გეოგრაფიული კონცენტრაციის ინდიკატორებად შეიძლება განხილულ იქნას მოცემუ-

ლი რეგიონის სპეციალიზაციის მაღალი დონის განმსაზღვრელი სხვადასხვა მაჩვენებელი.

4. მონაწილეთა ფართო წრე და „კრიტიკული მასის“ არსებობა. კლასტერი შეიძლება შედგებოდეს რეგიონის ფარგლებს გარეთ გასატანი საბოლოო პროდუქციისა და მომსახურების მწარმოებელი კომპანიებისგან; მაკომპლექტებელი მოწყობილობების, სპეციალიზებული მომსახურების მომწოდებლების, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა მხარდამჭერი ორგანიზაციებისგან. ინდიკატორებად შეიძლება განხილულ იქნას საწარმოებსა და კლასტერის სექტორებში დასაქმების მაღალი დონის განმსაზღვრელი მაჩვენებლები, კლასტერის სექტორებში შემავალი კომპანიებისა და ორგანიზაციების ოდენობა.

5. კლასტერების მონაწილეთა შორის კავშირისა და ურთიერთქმედების არსებობა. კლასტერების განვითარებაში წარმატების განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამუშაო კავშირებისა და კლასტერის მონაწილეებს შორის ძალისხმევის კოორდინაციის არსებობა. ეს კავშირები შეიძლება, განსხვავებული ბუნების იყოს – სათავო კომპანიებსა და მომწოდებლებს, თვით მომწოდებლებს შორის ფორმალიზებული ურთიერთობების, მოწყობილობათა და სპეციალიზებული სერვისის მომწოდებლებთან თანამშრომლობის; კომპანიებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა და საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციაში თანამშრომლობის ჩათვლით. მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კონტაქტები, ასევე, შეიძლება დაკავშირებული იყოს არსებულ და ახალ ბაზრებზე საქონლისა და მომსახურების კოლექტიური გატანისთვის მათი ძალისხმევის კოორდინაციასთან.[1]

სარგებელი კლასტერში ვრცელდება ყველა კავშირის მიმართულებით:

- სხვა დარგებიდან მოსული ახალი მწარმოებლები აჩქარებენ თავიანთ განვითარებას, სტიმულს აძლევენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს და უზრუნველყოფენ აუცილებელ საშუალებებს ახალი სტრატეგიების დასანერგად;
- ხდება ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა და სიახლეების სწრაფი გავრცელება მრავალრიცხოვან კონკურენტებთან კონტაქტის მქონე მომწოდებლების ან მომხმარებლების არხებით;
- კლასტერის შიგა ურთიერთკავშირები, ხშირად აბსოლუტურად მოულოდნელიც კი, აჩენს ახალ გზებს კონკურენციაში და ბადებს სრულიად ახალ შესაძლებლობებს;
- ადამიანური რესურსები და იდეები ქმნის ახალ კომბინაციებს.[2]

სარგებელი კლასტერში ვრცელდება ყველა კავშირის მიმართულებით:

- სხვა დარგიდან მოსული ახალი მწარმოებლები აჩქარებენ თავიანთ განვითარებას, სტიმულს აძლევენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს და უზრუნველყოფენ აუცილებელ საშუალებებს ახალი სტრატეგიების დასანერგად;
- ხდება ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა და სიახლეების სწრაფი გავრცელება მრავალრიცხოვან კონკურენტებთან კონტაქტის მქონე მომწოდებლების ან მომხმარებლების არხებით;
- კლასტერის შიგა ურთიერთკავშირები, ხშირად აბსოლუტურად მოულოდნელიც კი, აჩენს ახალ გზებს კონკურენციაში და ბადებს სრულიად ახალ შესაძლებლობებს;
- ადამიანური რესურსები და იდეები ქმნის ახალ კომბინაციებს.

საწარმოთა კლასტერები ცარიელ ადგილზე არ წარმოქმნილა. იდეები ბიზნესის ორგანიზაციის არატრადიციული ფორმების უპირატესობების შესახებ საკმაოდ დიდი ხნის წინ წარმოიშვა. ამ სფეროში ერთ-ერთი ყველაზე ადრეული გამოკვლევა იყო ალფრედ მარშალის ნაშრომი – „ეკონომიკის პრინციპები“, რომელშიც მან შეისწავლა დიდი ბრიტანეთის სამრეწველო რაიონები. თავის კვლევაში მარშალს

[1] Методические рекомендации по реализации кластерной политики в северных субъектах Российской Федерации (Электронный ресурс). Режим доступа: http://www/tpprf.

[2] **Цихан, Т. В.** Кластерная теория экономического развития // Теория и практика управления. 2003. № 5.

არ შემოაქვს სპეციალური ტერმინები „ლოკალიზებული წარმოებისთვის“ ან „სამრეწველო ზონებისთვის“, თუმცა აღწერიდან გამომდინარეობს, რომ იგულისხმება კლასტერი საკმაოდ ღრმა ფირმათაშორისი შრომის განაწილებით.

ამ ნაშრომის მთავარი მიღწევა ისაა, რომ ავტორმა მოახერხა, დაენახა სინერგიული ეფექტი, რომელიც მცირე საწარმოების სპეციალიზაციის გაერთიანებისას და ამაღლებისას მიიღწევა. საკითხის ამგვარად დასმიდან გამომდინარე, საწარმოთა კლასტერი ისეთი დარგობრივი ან გეოგრაფიული კონცენტრაციაა, რომელიც მასშტაბის „გარე ეკონომიის“ ეფექტის მიღწევის საშუალებას იძლევა ნედლეულის, მასალებისა და მოწყობილობის მიმწოდებლებთან ურთიერთქმედების ხარჯზე ვიწროსპეციალიზებული თანამშრომლების ჯგუფის შექმნით. საწარმოთა კლასტერში შეიძლება, შედიოდნენ სპეციალური აგენტები; შესაძლებელია, წარმოიქმნას სპეციალიზებული სექტორები, როგორიცაა: გაერთიანებული ფინანსები, ერთობლივი საბუღალტრო მომსახურება, ტექნოლოგიური პროცესის საერთო ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენება.

საწარმოთა კლასტერის მსგავს ცნებებს იყენებდნენ ავტორები, რომლებიც იკვლევდნენ სხვადასხვა დარგს შორის ტექნოლოგიური კავშირის პრობლემებს, ვინაიდან საბოლოო პროდუქციის საწარმოებლად კლასტერში სხვადასხვა დარგის მწარმოებლები ერთიანდებიან. არაერთი ფრანგი მკვლევარი ცდილობდა, ტექნოლოგიურად ურთიერთდაკავშირებული სექტორების ოჯახთა აღსაწერად, მოხმარებაში შემოეტანა ტერმინი „ფილერი“. მისი მნიშვნელობა ისაა, რომ ერთი სექტორის ტექნოლოგიური სიმძლავრე დამოკიდებულია მეორის ძალაზე. ცნება „ფილერი“ უფრო ფართო ცნების – „კლასტერის“ – მნიშვნელოვანი მომასწავებელია. კლასტერის წარმოშობის მიზეზია, ერთი მხრივ, ის, რომ მომწიფდა წანამძღვრები წვრილ მწარმოებლებს შორის მჭიდრო ტექნოლოგიური კავშირის ფორმირებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, გაჩნდა ეროვნულ უპირატესობათა რეალიზაციის შესაძლებლობა მცირე საწარმოების კლასტერების ფორმირებით, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკის სექტორებში. ლიტერატურაში, რომელიც ეძღვნება წარმოებაში ინოვაციების დანერგვის ხერხებს, აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნულია კლასტერების მნიშვნელობა დარგებს შორის ტექნოლოგიური ურთიერთკავშირის განსამტკიცებლად.

„საწარმოთა კლასტერების“ ცნების შინაარსთან ახლომდგომი ტერმინები გვხვდება პუბლიკაციებში, რომლებიც ეძღვნება მსხვილი შვედური კორპორაციების საქმიანობის ანალიზს. მაგალითად, ე. დახმენი ლაპარაკობს „განვითარების ბლოკებზე“, ასევე, მიუთითებს კავშირის ფიქსაციის მნიშვნელობაზე ერთი სექტორის განვითარების უნარსა და მეორეში მიღწეულ პროგრესს შორის. ლ. გ. მეტსონი ყურადღებას ამახვილებს კლასტერის შიგნით ფირმებს შორის ურთიერთკავშირის სხვადასხვა ფორმაზე.

ქვეყნის ან რეგიონის კონკურენტუნარიანობისა და საწარმოთა კლასტერების განვითარების ხარისხის ურთიერთკავშირის დაწვრილებითი ანალიზი მოგვცა მ. პორტერმა. მ. პორტერი განსაზღვრავს კლასტერს, როგორც „გეოგრაფიულად მეზობლად მყოფ ურთიერთდაკავშირებულ კომპანიათა ჯგუფს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს, რომლებიც მოქმედებენ გარკვეულ სფეროში და ხასიათდებიან საქმიანობის ერთიანობით, ამასთანავე ავსებენ ერთმანეთს“. ამ განსაზღვრაში აქცენტი კეთდება საწარმოს კლასტერების სამ ძირითად თვისებაზე:

- **გეოგრაფიული ლოკალიზაცია.** მ. პორტერის მიხედვით, კლასტერის მასშტაბი შეიძლება ვარირებდეს ერთი ქალაქიდან ან რეგიონიდან ქვეყნამდე ან რამდენიმე ქვეყნამდეც კი.
- **ურთიერთკავშირი საწარმოებს შორის.** მ. პორტერი აღნიშნავდა, რომ კლასტერი არის ურთიერთდაკავშირებული საწარმოების ქსელის ფორმა და კავშირის უფრო ღრმა განვითარება მოწმობს თავად კლასტერის განვითარების ხარისხზე.
- **დარგების ტექნოლოგიური ურთიერთკავშირი.** კლასტერში არსებობს ტექნოლოგიურად ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა დარგის საწარმო. ჩვეულებრივ, ეს მზა პროდუქტის კომპანიებია; წარმოების სპეციალიზებული ფაქტორების, კომპონენტების, მანქანების მიმწოდებლები, აგრეთვე, სერ-

ვისული მომსახურების; ფინანსური ინსტიტუტები; თანმხლები პროდუქტების მწარმოებლები და სხვ. თუმცა მ. პორტერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს ქსელში არსებული კომპანიების საკუთრების ფორმებს. კერძოდ, აშკარად არ ისმის საკითხი კონტროლის ფორმებზე, ფირმების აქტივების საკუთრებასა და მათ მართვაზე. მ. პორტერის თანამემამულე, ო. უილიამსონი კი საკმაოდ ხშირად ამახვილებდა ამაზე ყურადღებას.

ზოგიერთ ნაშრომში კლასტერებს უწოდებენ „სამრეწველო“ ან „ინდუსტრიულ რაიონებს“. ეს ცნება ხშირად გამოიყენება იტალიურ ლიტერატურაში მაშინ, როდესაც მცირე საწარმოების გაერთიანების ფუნქციები სცდება მხოლოდ სპეციალიზაციისა და ფირმათაშორისი შრომის დანაწილების ფარგლებს.

ფართო აღიარება ჰპოვა კვლევებმა ბიზნესის ქსელური ორგანიზაციის დარგში. ეს ცნება უპირატესად მაშინ გამოიყენება, როცა მასშტაბის „გარე ეკონომიის“ ეფექტი საწარმოთა გაერთიანებისთვის ხდება ნაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე ის დამატებითი უპირატესობები, რომლებსაც ის გამოცდილების გავრცელებისა და წინ წაწევის ხელშეწყობის ხარჯზე იღებს. ამასთან, საჭირო არაა მონაწილეების ლოკალიზაცია გეოგრაფიული თვალსაზრისით.

ზოგჯერ საწარმოთა კლასტერები კონტრაქტინგის იდეასთან დაკავშირებით განიხილება. ითვლება, რომ ახალი საორგანიზაციო ფორმები ფუნქციონირებას უფრო ეფექტიანად ახორციელებენ, ვიდრე შიგასაფირმო დაბანდებები კომპანიის განვითარებაში. ზოგი მკვლევრის აზრით, კონტრაქტების ქსელში ჩართული ფირმები ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილის კოორდინირების შესაძლებლობას იღებს ბაზრის მექანიზმის მეშვეობით, სადაც თავისუფალი აგენტები ერთმანეთს ხვდებიან საქონლისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვისთვის, რომლებიც წარმოებულია გასაყიდად. ასეთ შემთხვევაში შიგასაფირმო ხარჯების ზრდის ნაცვლად, რაც უკავშირდება კომპანიის ზრდას, მცირე ფირმების ნიჭიერი თანამშრომლები „მოძრაობენ სწრაფად, მუშაობენ ბეჯითად და იღებენ თავიანთ თავზე უფრო მაღალ რისკს“. ამგვარად, კონტრაქტინგის დახმარებით იღვიძებს მძლავრი საბაზრო სტიმულები მცირე ბიზნესისთვის, როგორიცაა: ოფციონები აქციებზე, მიმზიდველი ბონუსები, რომლებიც ხელს უწყობს კომპანიის სწრაფვას, განაახლოს ტექნოლოგია, ხელი მიუწვდებოდეს ახალ ტექნიკურ რესურსებზე, მოიზიდოს სხვაგვარი ხარისხის კადრი.

საწარმოთა კლასტერებში, რომლებსაც უფრო მოტივირებული მაღალგანათლებული თანამშრომლები ჰყავთ, ეს პროცესები როგორც წესი, უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, ვიდრე მოუხერხ ებელ მსხვილ კორპორაციებში. საწარმოთა კლასტერების წარმოქმნის მექანიზმი საკმაოდ ზუსტადაა აღწერილი შემდეგ ციტატაში: „ერთი ან რამდენიმე ფირმა, აღწევს რა კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე, ავრცელებს თავის გავლენას უახლოეს გარემოზე: მიმწოდებლებზე, მომხმარებლებსა და კონკურენტებზე. თავის მხრივ, გარემოცვის წარმატებები დადებით გავლენას ახდენს მოცემული კომპანიის კონკურენტუნარიანობის შემდგომ ზრდაზე. საბოლოო ანგარიშით ყალიბდება „კლასტერი“ – მჭიდროდ დაკავშირებული დარგების ფირმათა გაერთიანება, ფირმების, რომლებიც ხელს უწყობენ ერთმანეთის კონკურენტუნარიანობის ზრდას. სახელმწიფოს მთელი ეკონომიკისთვის კლასტერები ასრულებენ შიგა ბაზრის ზრდის წერტილებისა და საერთაშორისო ექსპანსიის ბაზის როლს. ეკონომიკაში პირველის კვალდაკვალ ხშირად წარმოიქმნება ახალი კლასტერები და ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა იზრდება“.

მაშ ასე, ვლაპარაკობთ რა საწარმოთა კლასტერებზე, შეიძლება, ყურადღება გავამახვილოთ შიგაფირმულ კლასტერებზე, ასევე ვისაუბროთ ინდუსტრიული რაიონების განვითარებაზე, მაგრამ აუცილებელია, გამოვიკვლიოთ საკუთრივ საწარმოთა კლასტერები, რომლებსაც გარკვეული სპეციფიკა აქვთ.

ეკონომიკური თვალსაზრისით, საწარმოთა კლასტერს ურთიერთობათა რაღაც ბირთვი აქვს. გლობალიზაცია აძლიერებს წარმოების ფაქტორების მობილურობას და კომპანიები შესაძლებლობას იღებენ, განათავსონ თავიანთი წარმოება იქ, სადაც ეს ყველაზე ეფექტიანია. ცალკეული სახელმწიფოები აღიქმება როგორც გავლენის დამკარგავი იმ ძალებთან შედარებით, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით

მოქმედებენ. მ. პორტერმა მიუთითა, რომ ასეთი ხედვა – თუმცა, იგი საკმაოდ გავრცელებულია – ყოველთვის არ შეესაბამება რეალურ სიტუაციას კონკურენციის პროცესებში, ამიტომ შემოგვთავაზა სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის თეორია მსოფლიო ეკონომიკის კონტექსტში.

მ. პორტერი, როგორც მენეჯერი, კლასტერში განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ დარგების ურთიერთდაკავშირებულობას უთმობს. ეს პირდაპირაა დაკავშირებული პორტერისეული კვლევის ობიექტთან – რეგიონების, დარგებისა და ქვეყნების კონკურენტუნარიანობასთან. მ. პორტერი მიუთითებს, რომ, მაგალითად, კომპანიათა კონკურენციის დონეზე ძირითადი კონკურენტული უპირატესობები ხშირად ძევს არა კომპანიის შიგნით, არამედ მიმწოდებლებს, პარტნიორებს, შვილობილ-საწარმოებს შორის. აღმოჩნდა, რომ „ტექსტილთან დაკავშირებული კომპანიის აგების უპირატესობები ჩრდილოეთ და სამხრეთ კაროლინაში უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ადგილებში; ასევე, საავტომობილო კომპანიებისა – გერმანიის სამხრეთ ნაწილში ან სამოდელო ფეხსაცმლის წარმოების კომპანიების – იტალიაში“.

იმავდროულად, რეგიონების კონკურენტული უპირატესობები კავშირშია ურთიერთდაკავშირებულ დარგთა ჯგუფების კონკურენტულ უპირატესობებთან და არა საერთო ეკონომიკურ განვითარებასთან. „ერთი კონკურენტუნარიანი დარგი ეხმარება მეორის შექმნას ურთიერთგანმამტკიცებელი ურთიერთობის პროცესში. ასეთი დარგი ხშირად იმ საქონლისა და მომსახურების ყველაზე მომთხოვნი მყიდველია, რომლებზეც თავად არის დამოკიდებული. ქვეყანაში მისი არსებობა ხდება მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს დარგი-მიმწოდებლის კონკურენტუნარიანობის ზრდას. აშშ-ის ლიდერობამ დაფასოებული სამომხმარებლო საქონლისა და ხანგრძლივი მოხმარების საქონლის წარმოებაში თავისი წვლილი შეიტანა ამერიკული რეკლამის წარმატებაში. იაპონიის პოზიციები საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის წამოებაში იმის შედეგი გახდა, რომ იაპონიის წარმატება ნახევარგამტარებში მიმართულ იქნა აგრეთვე მეხსიერების უჯრედებისა. და ინტეგრალური სქემების შემუშავებაზე, რომლებიც გამოიყენება ელექტრონული საქონლის წარმოებაში“.

კონკურენტუნარიანი დარგი მოიზიდავს თავისკენ ყველა დანარჩენს, რომლებიც დაკავშირებულია მასთან; უყენებს რა უფრო მკაცრ მოთხოვნებს პროდუქციას, ტექნოლოგიურ მხარდაჭერას უწევს ინოვაციების გაცვლის ხარჯზე. „ამასთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს, რომ პროცესი შეიძლება შებრუნებული წესითაც განხორციელდეს. არაკონკურენტულ დარგს შეუძლია მოშალოს სხვა დარგებიც, იმ შემთხვევაში, თუკი ის მყიდველის როლში“ გამოდის.

ამგვარად, იკვლევს რა ქვეყნებისა და რეგიონების კონკურენტუნარიანობას, მ. პორტერი აანალიზებს კლასტერებს დარგების დონეზე, რომლებიც ამ კლასტერში შედის. ანალიზის ძირითადი ინსტრუმენტია კლასტერული სქემების შედგენა.

კლასტერულ სქემაში, ზოგადად, თავიდან გვაქვს პირველადი პროდუქცია, რომელსაც ცალკეულ კომპონენტებსა და საბოლოო პროდუქტს შორის შუალედური მდგომარეობა უკავია. შემდეგია სპეციალიზებული პროდუქცია, რომელიც შედის მოცემულ დარგში. და დასასრულ – მომსახურების დარგები, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული მოცემულ წარმოებასთან. ასეთი ზოგადი სქემა, რა თქმა უნდა, შესაძლებლობას არ იძლევა, მოვიცვათ კავშირის მთელი მრავალფეროვნება დარგებს შორის; განსაკუთრებით, თუკი იგი არ ეხება კავშირს მიმწოდებელი-მომხმარებელი, არამედ უფრო რთულს, ისეთებს, როგორიცაა: საქონლის კომპლემენტარულობა, ზოგადი ტექნოლოგია, საერთო შუამავლები.

1.2. კლასტერების კლასიფიკაცია და კლასტერული მიდგომების უპირატესობანი

მსოფლიო გამოცდილებაში ტერიტორიებისა და საწარმოო კომპლექსების კლასტერორიენტირებული რეგიონული პოლიტიკის გატარების გზით კონკურენტუნარიანობის ამაღლების არაერთი მაგალითი გვაქვს. ცნობილია კლასტერები მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში (ავეჯის, ფეხსაცმლის, კვების პროდუქტების წარმოება), ინოვაციურ სფეროში (ბიოტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაცია), მსხვილ სამრეწველო წარმოებაში (მანქანათმშენებლობა), ტრანსპორტის სფეროში. კლასტერების მრავალფეროვნება და ინდივიდუალობა აძნელებს მათ ტიპიზაციას.[1]

ლიტერატურაში კლასტერების კლასიფიკაციისადმი სხვადასხვა მიდგომა არსებობს.

ამჟამად ექსპერტები აღწერენ კლასტერების 7 ძირითად მახასიათებელს, რომელთა კომბინაციასაც ეყრდნობა ამა თუ იმ კლასტერული სტრატეგიის არჩევანი:

- **გეოგრაფიული** – ეკონომიკური აქტივობის სივრცითი კლასტერების აგება ადგილობრივიდან დაწყებული (მაგალითად, მებაღეობა ნიდერლანდებში) და გლობალურით დამთავრებული (აეროკოსმოსური კლასტერი);
- **ჰორიზონტალური** – რამდენიმე დარგი შეიძლება შედიოდეს უფრო მსხვილ კლასტერში (მაგალითად, მეგაკლასტერების სისტემა ნიდერლანდების ეკონომიკაში);
- **ვერტიკალური** – კლასტერებში შეიძლება, აღინიშნოს საწარმოო პროცესების მომიჯნავე ეტაპები. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ის, თუ ქსელის რომელი მონაწილეა ინოვაციების ინიციატორი და საბოლოო შემსრულებელი კლასტერის ფარგლებში;
- **ლატერალური** – კლასტერში ერთიანდება სხვადასხვა სექტორი, რომლებიც ეკონომიას უზრუნველყოფენ მასშტაბის ეფექტის ხარჯზე, რაც ქმნის ახალ კომბინაციებს (მაგალითად, მულტიმედიური კლასტერი);
- ტექნოლოგიური – ერთსა და იმავე ტექნოლოგიებით მოსარგებლე დარგების ერთობლიობა (მაგალითად, ბიოტექნოლოგიური კლასტერი);
- ფოკუსური – ერთი ცენტრის ირგვლივ თავმოყრილი ფირმების კლასტერი – საწარმოები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ან სასწავლო დაწესებულებები;
- თვისებრივი – არსებითია არა მხოლოდ ის, ნამდვილად თანამშრომლობენ თუ არა ფირმები, არამედ ისიც, თუ როგორ აკეთებენ ისინი ამას. ქსელი ყოველთვის ავტომატურად როდი ასტიმულირებს ინოვაციების განვითარებას. ხდება ხოლმე, რომ ქსელებში, პირიქით, ახშობენ ინოვაციურ პროცესებს და ახალისებენ თავდაცვით ქცევას. ურთიერთკავშირები მიმწოდებლებთან შეიძლება სტიმულს აძლევდეს ინოვაციურ პროცესებს, მაგრამ, იმავროულად, შეიძლება გამოყენებულ იქნას პარტნიორებზე ხარჯების გადამისამართებისა და მათი ფინანსური ინტერესების ხელყოფისთვის. უკანასკნელ შემთხვევაში ქსელები არც სტაბილურია და არც მასტიმულირებელი.[2]

კლასტერები, დარგების შესაბამისად განსხვავებულია ზომით, მოცულობით, განვითარების დონით. კლასტერების ბუნება შესაძლებელს ხდის მათი საზღვრების ცვალებადობას ახალი კომპანიებისა და დარგების გაჩენით, ბიზნესის განვითარებისა და მისი განხორციელების პირობების ცვლილებების შესაბამისად. მ. პორტერის აზრით, ისინი არსებობენ როგორც მსხვილ, ასევე მცირემასშტაბიან ეკონომიკაში, ქალაქად თუ სოფლად, ასევე გეოგრაფიული დაყოფის რამდენიმე დონეზე. კლასტერები იქმნება როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ეკონომიკის პირობებში.[3]

სამრეწველო კლასტერები წარმოად-

[1] **Хасаев, Г. Р.** Кластеры -современные инструменты повышения конкурентоспособности региона (через партнерство к будущему) / **Хасаев Г. Р., Михеев Ю. В.** (Электронный ресурс). Режим доступа: http://www. compass-r.ru.

[2] **Цихан, Т.В**. Кластерная теория экономического развития // Теория и практика управления. 2003. №5

[3] **Бондаренко, В.** Малые предприятия в системе кластеров (Электронный ресурс) // Бизнес для всех. 2005 № 33. Режим доступа: http://www. businesspress.ru

გენს საწარმოო ჯაჭვში გაერთიანებული გეოგრაფიულად ლოკალიზებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიების ჯგუფს, რომლის ფარგლებშიც იქმნება საბოლოო პროდუქტი და დამატებითი ღირებულება.

უფრო განვითარებულ კლასტერებს აქვს მომწოდებელთა სპეციალიზებული ბაზები, ურთიერთდაკავშირებული დარგების განშტოებები, უფრო ფართომასშტაბიანი მხარდამჭერი დარგები, მომხმარებლებთან მჭიდრო კავშირი.

კლასტერი შეიძლება მოიცავდეს საწარმოთა სტრატეგიულ ალიანსებს უნივერსიტეტებთან, კვლევით დაწესებულებებთან, მომხმარებლებთან, ტექნოლოგიურ ბროკერებსა და კონსულტანტებთან. კლასტერი, საზღვარგარეთული გამოცდილებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და სხვა ინსტიტუტებს შორის კონსტრუქციული და ეფექტიანი დიალოგის წარმართვას.[1]

დარგის ევოლუციის პროცესმა შეიძლება მიგვიყვანოს კლასტერების შექმნამდე ან გაფართოებამდე, რაც სცილდება დარგის ფარგლებს და წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების მძლავრ ძალას. ეს პროცესი დამოკიდებულია საბაზრო ურთიერთობათა მდგომარეობაზე, სამეწარმეო გარემოს მრავალფეროვნებაზე, კონკურენციის დონეზე, ასევე სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაზე და მისი შემდგომი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებზე. მეწარმეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო ხელს უწყობს კონკურენტების რიცხვის სწრაფ ზრდას და თანამშრომლობისთვის პარტნიორების ძიების ინტენსივობას. საბოლოო პროდუქტის მწარმოებელი დარგები წარმოქმნის კონკურენტუნარიან მხარდამჭერ საწარმოებს. წარმატებული კონკურენტუნარიანი დარგების კლასტერები წარმოგვიდგება ვერტიკალური ჯაჭვის სახით, რომელიც შედგება მოწყობილობებითა და სხვა სპეციალიზებული რესურსებით უზრუნველმყოფი საწარმოებისა და მომწოდებლების მრავალრიცხოვანი თანამიმდევრული საფეხურისგან. კლასტერების წარმოქმნა აჩქარებს პროცესს ცალკე აღებულ რომელიმე დარგში, იწვევს ინოვაციათა ბუმს და განამტკიცებს კონკურენციის უნარს მსოფლიო ბაზარზე. გარე ფაქტორებისა და ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებებიდან გამომდინარე, კლასტერები იქმნება, ფართოვდება, ღრმავდება, არახელსაყრელ პირობებში კი, დროთა განმავლობაში, იშლება კიდეც. კლასტერების მსგავსი დინამიკურობა და მოქნილობა კიდევ ერთი უპირატესობაა ეკონომიკური სისტემის ორგანიზაციის სხვა ფორმებთან შედარებით.[2]

ინოვაციური კლასტერი, როგორც კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი ფორმა, წარმოადგენს სხვადასხვა ორგანიზაციათა ძალისხმევის არაფორმალურ გაერთიანებას (სამრეწველო საწარმოების, კვლევითი ცენტრების, ინდივიდუალური მეწარმეების, სახელმწიფო მართვის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების და ა. შ.). ინოვაციურ კლასტერში ვერტიკალური ინტეგრაციის საფუძველზე გაერთიანება ქმნის მრავალგვარი ტექნოლოგიური გამოგონებების არა სპონტანურ კონცენტრაციას, არამედ ახალი იდეების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გავრცელების მკაცრად ორიენტირებულ სისტემას. ამასთან, კლასტერის ყველა მონაწილეს შორის მდგრადი კავშირის ქსელის ფორმირება წარმოადგენს გამოგონებათა ინოვაციებად, ხოლო ინოვაციების კონკურენტულ უპირატესობებად ეფექტიანი ტრანსფორმირების უმნიშვნელოვანეს პირობას. ინოვაციური საქმიანობის კლასტერები ქმნის ახალ პროდუქტს ან მომსახურებას რამდენიმე ფირმის ან კვლევითი ინსტიტუტის ძალისხმევით, რაც შესაძლებელს ხდის მათ გავრცელებას საქმიანი ურთიერთკავშირების ქსელით. კლასტერის ინოვაციური სტრუქტურა ხელს უწყობს ერთობლივი დანახარჯების შემცირებას სიახლეთა კვლევასა და შემუშავებაზე, მათი შემდგომი კომერციალიზაციის, კლასტერის საწარმოო-ტექნოლოგიური სტრუქტურის მაღალეფექტიანობის ხარჯზე. ყოველივე ეს კლასტერის მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს სტაბილურად განახორციელონ ინოვაციური საქმიანობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ყველაზე წარმატებული ინოვაციური კლას-

[1] **Горшенева, О. В.** Кластеры: сущность, виды, принципы организации и создания в регионах // Экономический вестник Ростовского государственного университета. 2006. №4. Ч.2.

[2] **Горшенева, О. В.** Кластеры: сущность, виды, принципы организации и создания в регионах // Экономический вестник Ростовского государственного университета. 2006. №4. Ч.2.

ტერები იქმნება იქ, სადაც ხორციელდება ან მოსალოდნელია გარღვევა ტექნიკისა და წარმოების ტექნოლოგიის დარგში და გასვლა ახალ საბაზრო ნიშაზე. ამ მიმართულებით ბევრი ქვეყანა სულ უფრო აქტიურად იყენებს კლასტერულ მიდგომას თავისი ეროვნული ინოვაციური პროგრამების ჩამოყალიბებისა და რეგულირებისადმი.[1]

კლასტერების შემოქმედებითი საქმიანობა მდგომარეობს იმაშიც, რომ მისი მონაწილეების უმრავლესობა უშუალოდ არ უწევს კონკურენციას ერთმანეთს, არამედ ემსახურება დარგის სხვადასხვა სეგმენტს. მათი შექმნა მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკის გასაყვანად განვითარების ინოვაციურ გზაზე, რაც მოითხოვს ინოვაციური პროცესის იმ მონაწილეთა მუდმივ კონტაქტებს, ვინც სამეცნიერო კვლევების, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა და საწარმოო პროცესის კორექტირებას ახდენენ. ასეთ ურთიერთქმედებას კორპორაციული ინტერესებით განპირობებული თავისებურებებიც აქვს, რომლებიც უზრუნველყოფს ნებისმიერი ორგანიზაციის ინოვაციურ ინტეგრაციას, მისი სიდიდის მიუხედავად. საშუალო და მცირე ბიზნესი უფრო იოლად ეგუება კონიუნქტურის ცვლილებას, რადგან ნაკლებადაა დამოკიდებული მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობასა და დონეზე, ხოლო მსხვილი ნაციონალური და ტრანსნაციონალური კომპანიები ქმნიან მსხვილ ფინანსურ რესურსებს გრძელვადიანი სტრატეგიული მანევრის უზრუნველსაყოფად.[2]

კომპანიათა და ორგანიზაციათა ჯგუფის კლასტერად განხილვა ხელს უწყობს საერთო ინტერესების სფეროებში კონკურენციის საფრთხის ან მეტოქეობის ინტენსივობის შეზღუდვის გარეშე მოქმედებათა კოორდინაციისა და ურთიერთსრულყოფის ხელსაყრელი შესაძლებლობების გამოვლენას.

დომინირება მნიშვნელოვანია რეგიონული ეკონომიკისთვისაც, სადაც შეინიშნება ურთიერთდაკავშირებული დარგების მაღალი გეოგრაფიული კონცენტრაცია. კლასტერების განვითარების სტრატეგიების შემუშავებისა და რეალიზაციისას წარმატების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ბიზნესის ლიდერების აქტიური პოზიცია და პოზიტიური პარტნიორობა რეგიონის სხვადასხვა სამეწარმეო ჯგუფების ინტერესებს შორის.[3]

რეგიონში კლასტერის ჩამოყალიბების ერთ-ერთი პირობაა დარგების სპეციალიზაციის არსებობა. სპეციალიზაციაში იგულისხმება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ფორმა, რომელიც ასახავს პროდუქციის ცალკეული სახეების ან მისი ნაწილების წარმოების თავმოყრას დამოუკიდებელ დარგებში, წარმოებასა და სპეციალიზებულ საწარმოებში.[4]

ეკონომიკის ყველაზე შესაფერისი ინტეგრაციული მოდელია რეგიონის ეკონომიკის კლასტერული მოდელი. მეურნეობრიობის სუბიექტების საწარმოო-კოოპერაციულ და სხვა ურთიერთქმედებებში სამრეწველო კლასტერის განმასხვავებელი ნიშანია ტერიტორიული ლოკალიზაციის პრინციპი,[5] თუმცა ისიც უნდა გვესმოდეს, რომ კლასტერის გეოგრაფიული მასშტაბები შეიძლება მოიცავდეს ერთ ქალაქს, ოლქს ან, უფრო მეტიც, ქვეყანას, ან მთელ რიგ მეზობელ ქვეყნებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეგიონი განსაზღვრავს კლასტერის მხოლოდ ერთ შესაძლო ვარიანტს.

რეგიონის ადმინისტრაციისთვის კლასტერი, ჯერ ერთი, ყველაზე თანამედროვე, მოსახერხებელი ინსტრუმენტია სამრეწველო პოლიტიკაში; მეორეც, ის კარგი ასპარეზია ბიზნესთან ურთიერთქმედებისთვის; მესამე, რეგიონულ ადმინისტრაციას აკისრია დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები, რომელთა გადასაწყვეტად საჭიროა დამატებითი სახსრები, დრო და ცოდნა. კლასტერული მიდგომა გვაძლევს ეფექტურ ინსტრუმენტს ძირითადი მიზნების მისაღწევად. ეს მიზნები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: რეგიონის შემოსავლიანობის ზრდა და მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფა. აღნიშნული მტკიცება დადასტურებულია რიგ

[1] **Бондаренко, В.** Малые предприятия в системе кластеров (Электронный ресурс) // Бизнес для всех. 2005 № 33. Режим доступа: http://www. businesspress.

[2] **Горшенева, О. В.** Кластеры: сущность, виды, принципы организации и создания в регионах // Экономический вестник Ростовского государственного университета. 2006. № 4. Ч.2.

[3] Взаимодействие малого и крупного бизнеса (Электронный ресурс) // Информационно-аналитический сборник Института предпринимательства и инвестиций. М., 2003. Апрель. Режим доступа: http:mbrk.ru

[4] **Горшенева, О. В.** Кластеры: сущность, виды, принципы организации и создания в регионах // Экономический вестник Ростовского государственного университета. 2006. № 4. Ч.2.

[5] **Шапкин, И. Н**. Управление региональным хозяйством. М.:Кнорус, 2005.

ქვეყნებში წარმატებული გამოცდილების მონაცემებით.[1]

რეგიონული ეკონომიკური პროცესების ანალიზისადმი კლასტერული მიდგომა გულისხმობს, რომ ყოველი კონკრეტული დარგი არ შეიძლება განხილულ იქნას სხვებისგან განცალკევებულად, არამედ სისტემურად უნდა იქნას შესწავლილი ურთიერთდაკავშირებული სექტორების კომპლექსის შიგნით. საბაზო დარგის სრულყოფა ბიძგს აძლევს მომწოდებელი და მომხმარებელი დარგების, ასევე მომსახურების სეგმენტის განვითარებას, წარმოქმნის ეკონომიკური ეფექტურობის კლასტერს, რომელიც უნდა გახდეს სწორედ ანალიზის ობიექტი.

კოოპერაციის ჩვეულებრივი ფორმებისა და სუბიექტების კოორდინაციისგან განსხვავებით, კლასტერული სისტემები ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

- ლიდერი საწარმოების არსებობით, რომლებიც განსაზღვრავს მთელი სისტემის გრძელვადიან სამეურნეო, ინოვაციურ და სხვა სტრატეგიას;
- კლასტერული სისტემის მონაწილე მეურნე სუბიექტების ძირითადი მასის ტერიტორიული ლოკალიზაციით;
- კლასტერული სისტემის მონაწილე მეურნე სუბიექტების კოოპერაციული კავშირების მდგრადობით, მისი მონაწილეების უმრავლესობისთვის ამ კავშირების პრიორიტეტული მნიშვნელობით;
- სისტემის მონაწილეთა ურთიერთქმედების გრძელვადიანი კოორდინაციით მისი ბიზნეს-პროგრამებისა და სტრატეგიული მიზნების ფარგლებში.

ამრიგად, კლასტერი, უპირველესად, სოციალური ცნებაა. ის იქმნება ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური ინტერესების მქონე ადამიანთა ან ორგანიზაციათა გაერთიანების ფარგლებში. ამასთან, რეგიონები, რომელთა ტერიტორიაზეც იქმნება კლასტერები, ხდება ეკონომიკური განვითარების ლიდერი. ისინი განსაზღვრავენ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას. რეგიონებს, რომელთაც არ გააჩნიათ კლასტერები, ბევრად უარესი ეკონომიკური მდგომარეობა აქვთ, ხშირ შემთხვევაში კი დეპრესიულ ტერიტორიებად იქცევიან.[2]

კლასტერი ხელს უწყობს კონკრეტული სამეურნეო ეფექტის მიღწევას და აძლიერებს ცალკეული კომპანიების და, აქედან გამომდინარე, მთლიანად კლასტერის კონკურენტულ უპირატესობებს. კლასტერები უფრო ეფექტიანად ამყარებენ მნიშვნელოვან კავშირებს დარგებზე, უზრუნველყოფენ მათ ურთიერთშევსებას, ხელს უწყობენ ტექნოლოგიების, ჩვევების განვითარებას და ბიზნესის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებას. საწარმოების სტრატეგიული მართვისათვის ეს კავშირები ფუძემდებლურია კონკურენტულ ბრძოლაში, ბიზნესის განვითარების მიმართულებების განსაზღვრაში, ინოვაციების დანერგვაში, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაში, საწარმოო დანახარჯების შემცირებაში და ა. შ.[3]

როგორც წესი, კლასტერები ემსახურება შემდეგი მიზნების შესრულებას:

- კლასტერის მონაწილეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხარჯზე;
- მიდგომების უნიფიკაციის ხარჯზე, დანახარჯების შემცირებას და შესაბამისი მეცნიერებატევადი მომსახურების ხარისხის ამაღლებას სინერგიის ეფექტსა და ხარისხში, ლოგისტიკაში, ინჟინერინგში, საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და ა. შ.;
- დასაქმების უზრუნველყოფას მსხვილი საწარმოების რეფორმირებისა და აუტსორსინგის პირობებში;
- კლასტერების მონაწილეთა ინტერესების კონსოლიდირებულ ლობირებას ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოში. საზღვარგარეთ ჩატარებული კვლევები მოწმობენ, რომ კლასტერები სტიმულს აძლევენ მწარმოებლურობის მნიშვნელოვან ამაღლებას და ინოვაციების დანერგვას. კომპანიები იგებენ, როცა

[1] **Егоров, О. И.** Зарубежный опыт региональной науки, региональной политики и территориального развития / О. И. Егоров, О. А. Чигаркина // Регион: экономика и социология. 2006. №1.

[2] **Ларионова, Н.А.** Конкурентоспособность региона в глобализирующейся экономике. Экономика регионов, тенденции развития, монография. Кн. 1 / под общ. ред. О.И. Кирикова. Воронеж: ВГПУ, 2006.

[3] **Горшенева, О. В.** Кластеры: сущность, виды, принципы организации и создания в регионах // Экономический вестник Ростовского государственного университета. 2006. № 4. Ч.2.

აქვთ დადებითი გამოცდილების გაზიარებისა და დანახარჯების შემცირების საშუალება, როცა იყენებენ ერთსა და იმავე მომსახურებასა და მომწოდებელს.

დარგობრივ კლასტერში სხვადასხვა ფორმისა და ორგანიზაციის ინტეგრაციის მასტიმულირებელ ფაქტორებს შორის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

- სათავო ამწყობი ქარხნების შეთანხმებული მოთხოვნები თავიანთი მომწოდებლებისა და დილერებისადმი;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე დანახარჯების შემცირება მასშტაბის ეფექტის ხარჯზე;
- მეცნიერებატევად დარგებში კოლექტიური ინოვაციების უფრო ეფექტიანი ხასიათი ვერტიკალური ინტეგრაციის პირობებში და ჰორიზონტალური კოოპერაციისა – აუტსორსინგის დროს;
- ინჟინერინგული და კონსალტინგური მომსახურების, მათ შორის მცირე საწარმოებისათვის პოტენციური ბაზრის გადიდება კომპლექსური პროექტებისა და პროგრამების შესრულებისას სუბკონტრაქტინგის დანერგვის ხარჯზე;
- ბაზრის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაფართოება და პროდუქციისა და მცირე ბიზნესის მომსახურების გატანა მსხვილი საწარმოების ბაზარზე;
- საწარმოთა, მათ შორის მცირე საწარმოთა შესაძლებლობების გაზრდა ინვესტიციებისა და გრანტების მოსაზიდად;
- საზღვარგარეთელ პარტნიორებსა და ახალ ბაზრებზე გასვლის უფრო ეფექტიანი სისტემა.[1]

ამრიგად, კლასტერის, როგორც მეურნეობრიობის, ეკონომიკური ურთიერთქმედებისა და კავშირების ახალი ფორმის განვითარება, ხელს უწყობს განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მიღწევას, რომელიც ვლინდება შემდეგ მიმართულებებში:

- კომპანიებისა და ეკონომიკის სექტორების მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება (უფრო მაღალგანვითარებულ კლასტერებში მომუშავე კომპანიები მეტად მწარმოებლურია, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ კლასტერებში მომუშავეები);
- ინოვაციური პოტენციალის ამაღლება (უფრო მაღალგანვითარებულ კლასტერებს მეტი ინოვაციური პოტენციალი აქვთ, რაც გამოიხატება, თუნდაც, პატენტების რაოდენობაში);
- ახალი კომპანიების სტიმულირება (განვითარებული კლასტერები ხელს უწყობენ ახალი მცირე და საშუალო კომპანიების წარმოქმნასა და განვითარებას);
- რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ეკონომიკური განვითარება (რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, კლასტერების განვითარება დადებით გავლენას ახდენს რეგიონში დასაქმების დონესა და სტრუქტურაზე, ხელფასის დონეზე);
- რეგიონში დასაქმების უზრუნველყოფა, მისი სტრუქტურის გაუმჯობესება, ხელფასის გადიდება.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ხანგრძლივი პროცესი სულ უფრო ახალ მოთხოვნებს უყენებს ტერიტორიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია შრომის მწარმოებლურობის ზრდა. ის განაპირობებს მისი ამაღლების უზრუნველმყოფი ეფექტიანი გადაწყვეტილებების რეალიზაციის აუცილებლობას მართვის ყველა დონეზე, ინოვაციური სტრატეგიების დანერგვის საფუძველზე. მსოფლიო გამოცდილების განზოგადებისას შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ეფექტიანი გადაწყვეტილებების შემუშავება და რეალიზაცია შესაძლებელია რეგიონული კლასტერების ფორმირების გზით. ტერიტორიები, სადაც ყალიბდება კლასტერები, იქცევა ეროვნული ეკონომიკისა და მათი საგარეო ეკონომიკური კავშირების ლიდერებად. მნიშვნელოვანწილად, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სახელმწიფოს ზემოქმედება ეკონომიკაზე, ეკონომისტთა უმრავლესობის აზრით, უპირა-

[1] **Хасаев, Г.Р.** Кластеры -современные инструменты повышения конкурентоспособности региона (через партнерство к будущему) / **Хасаев Г.Р., Михеев Ю.В.** (Электронный ресурс). Режим доступа: http://www. compass-r.ru.

ტესად უნდა იყოს ირიბი, მარეგულირებელი და უნდა უზრუნველყოფდეს რესურსების შედეგიან განაწილებას. კლასტერული მიდგომა, რომლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ რეგიონული და ბიზნესსტრუქტურების მჭიდრო ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობით, საშუალებას გვაძლევს სრულად იქნეს რეალიზებული ეს ირიბი ზემოქმედება. გარდა ამისა, კლასტერული ინიციატივები სტიმულს აძლევს რეგიონში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, იმდენად რამდენადაც ამჟამად მსხვილი საერთაშორისო კომპანიები, როგორც წესი, ამჯობინებენ ინვესტირებას იმ რეგიონებსა და ქვეყნებში, სადაც უკვე ფუნქციონირებს კლასტერები, ან თუნდაც ის, რომ უკვე არსებობს წანამძღვრები მისი ფორმირებისთვის.

კლასტერული მიდგომის კიდევ ერთი უპირატესობაა ის, რომ ის შესაძლებელს ხდის აუტსორსინგის პრაქტიკულ რეალიზებას, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს ფართოდაა გავრცელებული მთელ მსოფლიოში. რაც იმაში მდგომარეობს, რომ დღეს მსხვილი კომპანიები ცდილობენ თავიანთი საქმიანობის მთავარ მიმართულებებზე კონცენტრირებას, შუალედური პროდუქტების წარმოებასა და ძირითადი მომსახურებების სფეროს კი სხვებს გადასცემენ. ამ მიზეზით, კლასტერების შექმნა დიდ გავლენას ახდენს მცირე ბიზნესზე. ძირითადი კლასტერწარმომქმნელი საწარმოების ძლიერი საერთაშორისო პოზიციები სტიმულს აძლევს მომსახურე საწარმოების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გაფართოებას. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ იაპონიის საავტომობილო მაკომპლექტებელი მწარმოებლები, რომლებიც ეროვნული ავტოგიგანტების კვალდაკვალ ვითარდებიან და თავიანთ საწარმოებს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ხსნიან.

კლასტერული ინიციატივები წარმოჩინდა, როგორც რეგიონული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაძლიერების ყველაზე წარმატებული სტრატეგიები, რადგან შესაძლებელი გახდა ეფექტიანი კავშირების დამყარება რეგიონული ეკონომიკის ძირითად მოთამაშეებს შორის. კლასტერების წყალობით, სახელმწიფო სექტორები რეგიონებში უკეთ ახერხებენ ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებების რეგულირებას, სამეურნეო განვითარების ტენდენციების პროგნოზირებასა და კორექტირებას დაინტერესებულ მხარეთა ძალისხმევის კოორდინაციის ხარჯზე.

საჭიროა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ კლასტერული სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და სპეციალური სტიმულირების პროგრამების წარმატებული რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ საერთო რეგიონული სტრატეგიის არსებობის პირობებში. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, საერთაშორისო კლასტერის შექმნა რეგიონული განვითარებისგან მოწყვეტით, მთლიანობაში, არაეფექტიანია, ხშირად კი – შეუძლებელიც.

რეგიონული ხელისუფლების მიერ კლასტერული მიდგომის რეალიზაციისას მიღებული უპირატესობები იმაში მდგომარეობს, რომ კლასტერი ყურადღების ფოკუსირების შესაძლებლობას იძლევა ეკონომიკის პრობლემებსა და უპრატესობებზე. კლასტერების მართვის ორგანოებისთვის, რომელშიც შეიძლება შედიოდნენ სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლები, ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი და კონცენტრირებული ინფორმაცია საწარმოთა საქმიანობაზე, ეკონომიკის მოცემული სექტორის მდგომარეობასა და შრომითი რესურსების ბაზრის შესახებ, რაც არსებითად ამცირებს ხელისუფლების ორგანოების მიერ შესრულებული ანალიტიკური სამუშაოს მოცულობას და ადიდებს მისი სარწმუნოობის დონეს.

ბიზნესსტრუქტურების მიერ მიღებული უპირატესობები დაკავშირებულია პროდუქციის გასაღების ბაზრებზე გასვლისა და ნედლეულისა და მასალების მიწოდების ბარიერების არსებით შემცირებასთან, დანახარჯების შემცირებასთან მასშტაბის ეფექტის ხარჯზე, რომელიც ვლინდება მწარმოებლებისა და მომხმარებლების კოოპერაციისას. კლასტერი მწარმოებლებს წარმოქმნილი პრობლემების სისტემატიზაციის, მათი დაძლევის გზების არჩევის ახალ შესაძლებლობას უქმნის. რეგიონულ და მუნიციპალურ ხელისუფლებასთან ურთიერთმოქმედების წყალობით იძებნება მათი იმ ნაწილის გადაწყვეტის მეთოდები და საშუალებები, რომლებიც რეგიონის კომპეტენციის სფეროშია. კლასტერის ავტორიტეტზე გავლენის გამოყენებით, ბიზნესი და რეგიონული ხელისუფლება ერთობლივად ეძებენ თავიანთი

ინიციატივების ყველაზე ეფექტიანი განხორციელების გზებს რეგიონული სტრუქტურების მეშვეობით, კანონპროექტების მომზადებისა და რეგიონული და დარგობრივი ინიციატივების გატარების ლობირების ჩათვლით.

კლასტერის აგება შესაძლებელია განხორციელდეს სამი ვარიანტით:

- „ზევიდან ქვევით“, როცა კლასტერის სტრატეგიის განსაზღვრა მთლიანობაში და მისი რესურსებით მხარდაჭერა ხორციელდება „ზევიდან“;
- „ქვევიდან ზევით“, როცა ცალკეული პროექტები და პროგრამები ინტეგრირდება და ერთიანდება კლასტერში „ქვევიდან“;
- შერეული ვარიანტი, როცა, პარალელურ რეჟიმში დროში ერთმანეთს ერწყმის ორივე მიდგომა.

კლასტერების შექმნისკენ მიმართული პოლიტიკა იწყება რეგიონში მათი წარმოქმნისთვის უკვე არსებული წანამძღვრებით, რომელთაგან უმთავრესია:

- კლასტერის განვითარებისთვის ფუძემდებლური მესაკუთრეებისა და კლასტერის ფარგლებში თანამშრომლობით დაინტერესებული საწარმოების არსებობა;
- კოოპერაციული და სხვა კავშირების, ურთიერთქმედების დამუშავებული მექანიზმების, ურთიერთნდობის მაღალი დონის არსებობა;
- საწარმოთა და ორგანიზაციათა მაღალი ინოვაციურ-ტექნოლოგიური დონე;
- კლასტერის პოტენციური მონაწილე საწარმოებისა და ორგანიზაციების პროდუქციის მაღალი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, რასაც განსაზღვრავს პროდუქციის მაღალი მოცულობა და, შესაძლოა, მაღალი ტექნოლოგიების იმპორტი;
- შემდგომი ინოვაციური განვითარების სურვილი;
- ხელისუფლების ორგანოების დაინტერესება რეგიონის ეკონომიკის განვითარების კლასტერული ვარიანტით და კონკურენციისა და თანამშრომლობის გაფართოებით;
- ბიზნესთან ურთიერთქმედების გამოცდილების არსებობა ხელისუფლების ორგანოებში, მათ შორის, ეკონომიკის იმ სექტორში, რომელშიც ნავარაუდევია კლასტერის ფორმირება;
- კარგი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის არსებობა რეგიონში;
- სისტემატური მუშაობა რეგიონში ბიზნესის მხარდაჭერის არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სრულყოფისთვის;
- რეგიონის ხელმძღვანელების მზაობა ბიზნესის წარმომადგენლებთან შემდგომი დიალოგისთვის თანამშრომლობის პირობებით, ბიზნესთან და ხელისუფლებასთან მუშაობის დადებითი გამოცდილება თანამშრომლობისა და კონკურენციის ზრდის პირობებში;
- პროფესიული განათლების მაღალკვალიფიციური სისტემის არსებობა, რომელსაც აქვს ეკონომიკის შესაბამისი სექტორებისთვის კადრების მომზადების გამოცდილება.

რეგიონის ძლიერი და სუსტი მხარეების შესაფასებლად, პირველ ეტაპზე, აუცილებელია, გაანალიზდეს ოთხი ძირითადი მიმართულება: განისაზღვროს მომუშავეთა რაოდენობა და კვალიფიკაცია, ასევე, დაწესებულებათა რიცხვი, რომლებიც მონაწილეობენ სავარაუდო კლასტერის მოცემულ სექტორში; ლოკალური კლასტერების ხვედრითი წონა კლასტერში და მათი ხვედრითი წონა რეგიონში, ქვეყანაში; განისაზღვროს დანახარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობა ტექნოლოგიური პროცესის ყველა რგოლში, ნედლეულისა და მასალების მოწოდებით დაწყებული და პროდუქციის რეალიზაციით დამთავრებული; განისაზღვროს კლასტერის ზრდის ტემპი.

1995 წელს არიზონაში კლასტერების ეროვნულ კონფერენციაზე შემოთავაზებულ იქნა გაბატონებული კლასტერების განსაზღვრის ფორმულა, სადაც წარმოების კონცენტრაცია უნდა აღწევდეს 40%-ს, ზრდა – 10%-ს, კოოპერაციული კავშირები კლასტერის მონაწილე საწარმოებს შორის – 10%-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ კლასტერების სასიცოცხლო ციკლი შედგება 4 სტადიისაგან:

- **ემბრიონული** (ჩასახვის სტადიაში მყოფი) – ფორმირების პირველ ეტაპზე მყოფი კლასტერები;

- **განვითარებადი** – ჩამოყალიბებული და განვითარების გზაზე მყოფი კლასტერები;
- **მომწიფებული** – მდგრადი და შემდგომი განვითარების პოტენციალის მქონე კლასტერები;
- **მომაკვდავი** – თავისი საქმიანობის დასრულების სტადიაში მყოფი კლასტერები.

კლასტერების სასიცოცხლო ციკლიდან გამომდინარე, საჭიროა მათი განვითარების ხელშეწყობის მექანიზმის შემუშავება. მაგალითად, ემბრიონულ სტადიაზე მყოფ კლასტერებს სჭირდებათ მხარდაჭერა ინფორმაციული უზრუნველყოფისა და საწარმოებს შორის კავშირების დამყარების საქმეში. შემდგომში ამგვარი დახმარების აუცილებლობა ნელ-ნელა იკლებს. მთლიანობაში კი, კლასტერული მიდგომის გამოყენება რეგიონული ეკონომიკის მართვაში ხელს უწყობს მის დინამიკურ პროპორციულ განვითარებას.

1.3. რეგიონული კლასტერები

რეგიონული მეურნეობების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობა ტერიტორიების წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს, პირველ რიგში რეგიონული ეკონომიკის კონკურენტუნარიანი მოდელის არჩევანთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც შესაძლებელს ხდის არსებული პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას.

კონკურენტუნარიანობა რთული მრავალასპექტიანი და მრავალდონიანი ცნებაა, რომელიც ორგანულადაა დამახასიათებელი მეურნეობრიობის საბაზრო სისტემისთვის. ყველაზე ზოგადი სახით კონკურენტუნარიანობა ნიშნავს თავისი ფუნქციის (დანიშნულების, მისიის) შესრულებას მოთხოვნილი ხარისხითა და ღირებულებით კონკურენტული ბაზრის პირობებში. რეგიონის კონკურენტუნარიანობა არის მისი უნარი, წარმატება მოიპოვოს ეკონომიკურ შეჯიბრებებში საქონლის გასაღების შიგა და მსოფლიო ბაზრებზე, ბიზნესის განვითარებისთვის გარემოს, ინვესტიციური მიმზიდველობის შექმნაში როგორც შიგა, ისე უცხოური ინვესტიციებისთვის, ცხოვრების ხარისხში და ა. შ.

არსებობს კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისა და განვითარების მრავალი თეორია, რომელთაგან ერთ-ერთია ეკონომიკის კლასტერული მართვის თეორია. ეს თეორია ფართოდ გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში. კლასტერული მიდგომის გამოყენების შედეგები ცნობილია სახელგანთქმული „სილიკონის ველის“, ფინეთის სატყეო და ქაღალდის, შესაფუთი მასალების და პოლიგრაფიული კლასტერის, ნორვეგიის გემთმშენებლობის კლასტერისა და იტალიის „სამრეწველო რაიონების“ სახით.

კლასტერული კონცეფცია ემყარება კონკრეტული რეგიონის კონკურენტუნარიანობას, რომელიც დამოკიდებულია ურთიერთდაკავშირებული დარგების კლასტერის არსებობაზე. კონცეფციას საფუძვლად უდევს მ. პორტერის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის დეტერმინანტების სისტემა, რომელიც მოიცავს კონკურენტუნარიანობის ოთხ დეტერმინანტს. კლასტერის მონაწილე კონკურენტი ფირმების, ასევე მხარდამჭერი და მონათესავე დარგების, რესურსების ძლიერი და მომთხოვნი მომწოდებლებისა და განვითარებული ელემენტების მქონე მომხმარებლების არსებობა რეგიონის ეკონომიკას საერთაშორისო დონეზე კონკურენციის გაწევის უნარს ანიჭებს.

მაიკლ პორტერის თეორიის თანახმად, კლასტერი არის „ცალკეული ერების, ქვეყნებისა და ქალაქების ცხოვრებაში განსაკუთრებული როლის მქონე ფირმების, მომწოდებლების, ურთიერთდაკავშირებული დარგების გეოგრაფიული კონცენტრაცია... კლასტერები განაპირობებენ ახლებურ შეხედულებას ეკონომიკასა და მის განვითარებაზე; ბიზნესის, მთავრობისა და ინსტიტუტების ახალ როლზე და ურთიერთდამოკიდებულებების აგების ახალ ხერხებზე, როგორიცაა ბიზნესი – მთავრობა ან ბიზნესი – ინსტიტუტები“.[1] მ. პორტერი მოცემულ განმარტებაზე

ყურადღებას ამახვილებს თავისი ცნობილი წიგნის „კონკურენციის“ შესავალში, რაც მიუთითებს რეგიონული ფაქტორის ცენტრალურ როლზე კლასტერების წარმოქმნის პროცესებში.

კლასტერების ან სამრეწველო ჯგუფების თეორიამ გაგრძელება ჰპოვა მეორე ამერიკელი მეცნიერის, მ. ენრაიტის ნაშრომებში. მან

[1] **Портер М. Э.** Конкуренция/ Пер. с англ. **О. Л. Пелявского, А. П. Уриханяна, Е. С. Усенко** и др., под ред. **Я. В. Заблоцкого, М. С. Иванова,** К. П. Казаряна и др. Изд. Испр., М.: ИД «Вильямс», 2005. gv. 28-29.

შექმნა „რეგიონული კლასტერის“ თეორია და მისცა მას შემდეგი განმარტება:

რეგიონული კლასტერი არის მეურნეობის ერთ ან რამდენიმე მონათესავე დარგში მომუშავე ფირმების ეკონომიკური აგლომერაცია.[1]

ამრიგად, ენრაიტის თეორიის თანახმად, კონკურენტული უპირატესობანი იქმნება არა ეროვნულ, არამედ რეგიონულ დონეზე, სადაც მთავარ როლს ასრულებს რეგიონების განვითარების ისტორიული წანამძღვრები, ბიზნესის წარმოების კულტურის, წარმოების ორგანიზაციისა და განათლების მიღების მრავალფეროვნება. სწორედ რეგიონული კლასტერები საჭიროებენ სახელმწიფო სტრუქტურებისა და კვლევითი ორგანიზაციების მიზანმიმართულ მხარდაჭერას.

საბჭოთა ეკონომიკაში თანამედროვე კლასტერული წარმონაქმნების პირველსახე იყო ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსი (ტსკ), რომელიც წარმოადგენდა „სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალების სივრცითი ორგანიზაციის ფორმას, რომელიც ყველაზე სრულად პასუხობდა მათი განვითარების ამოცანებს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში“.[2] ტსკ-ის შექმნის ობიექტური წანამძღვრები მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების – მინერალური ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული, წყლის, მცენარეული და მიწის რესურსების თავისებურებებზე. რესურსების ამგვარი დაჯგუფება მათი გამოყენების სპეციფიკური ნიშნების გამოვლენის საშუალებას იძლეოდა.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გადასვლამ მეურნეობრიობის საბაზრო მოდელზე ტსკ-ს ელემენტებისა და ურთიერთკავშირების სტრუქტურიდან გააქრო მნიშვნელოვანი სტრუქტურათწარმომქმნელი რგოლი – წარმოებისა და პროდუქციის მიწოდების დავალება. სახელმწიფო გეგმური დავალების ნაცვლად საწარმოებმა იწვნიეს მათ პროდუქციაზე მოთხოვნის არარსებობა სხვა სამამულო და საზღვარგარეთული საწარმოების მხრიდან. პროდუქციის ძირითადმა და უმსხვილესმა მყიდველმა – სახელმწიფომ დაკარგა თავისი როლი ტსკ-ის საქმიანობაში საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილების ხასიათის ცვლილებასთან დაკავშირებით. ასევე განადგურდა და გაქრა არსებული საწარმოო-სამეურნეო კავშირები საწარმოებსა და სახელმწიფოს შორის. ამ პირობებში გადარჩა და ვითარდება საწარმოები და მათი კომპლექსები, რომელთაც შესწევთ უნარი, დააკმაყოფილონ მოთხოვნილება არა მხოლოდ შიგა ბაზარზე, არამედ საერთაშორისოზეც. ტსკ-ს სამმართველოები დაიკარგა. ამის შედეგად მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული და ფუნქციონირებადი ობიექტებიდან ტსკ-ის უმრავლესობა იქცა საწარმოთა ქაოსურ გაერთიანებად დაბალი კონკურენტული პოტენციალით საერთაშორისო ბაზარზე.[3]

რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი ამოცანაა რეგიონის კლასტერიზაციის პოტენციალის გამოვლენა.

კლასტერის ეკონომიკური საქმიანობის კრიტერიუმს წარმოადგენს საწარმოების მიერ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება. კლასტერს, მთლიანობაში, უნდა ჰქონდეს შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები:

- შესაბამისი პროდუქციის ბაზარზე (ეროვნულ ან მსოფლიო) მისი წილი აღემატება მთლიან რეგიონულ პროდუქტში გამოხატულ რეგიონის ეკონომიკის საშუალო წილს აღნიშნულ ბაზარზე;
- კლასტერის პროდუქციის მატების ტემპი აღემატება მთლიანი რეგიონული პროდუქტის მატების საშუალო ტემპს;
- კლასტერის კონკურეტუნარიანობა, ხვედრითი დანახარჯებისა და პროდუქციის ხარისხის მიხედვით, ტოლს არ უდებს სხვა ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკის შესაბამის სექტორებს;
- კლასტერში შემავალი დარგების მდგრადი კოოპერირება და მის საფუძველზე აგლომერაციული პროცესების, ქსელური ფორმებისა და ორგანიზაციების ჩამოყალიბება;

[1] **Пилипенко И. В.** Новая геоэкономическа модель развития страны: повышение конкурентоспособности с помощью развития кластеров и промышленных районов // Безопасность Евразии. 2003, № 3. gv. 580-604.

[2] **Пилипенко И. В.** Принципиальные отличия в концепциях промышленных кластеров и территориально-производственных комплексов // Вестник Московского университета. Серия 5, География, 2004, № 5, gv. 3-9.

[3] **Пилипенко И. В**. Принципиальные отличия в концепциях промышленных кластеров и территориально-производственных комплексов // Вестник Московского университета. Серия 5, География, 2004, № 5, gv. 3-9.

- კლასტერის საწარმოებს შორის საინფორმაციო და მარკეტინგული კავშირების განვითარება თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე, რეგიონთაშორისი ეკონომიკური ინტეგრაციის ფარგლებში წარმოების, მიწოდებისა და მმართველობის საერთო სტანდარტების შექმნა, კლასტერული ბრენდების აქტიური განვითარება.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, კლასტერული მიდგომა არის არა მხოლოდ სამრეწველო პოლიტიკის მიზნების მიღწევის საშუალება (სტრუქტურული ცვლილებები, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ინოვაციური მიმართულების გაძლიერება და სხვ.), არამედ, ის ასევე წარმოადგენს მძლავრ ინსტრუმენტს რეგიონული განვითარების სტიმულირებისთვის, რომელიც, საბოლოო ჯამში, შეიძლება, მდგომარეობდეს რე გიონის სავაჭრო ბალანსის სტიმულირებაში, დასაქმების გაზრდაში, სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში ანარიცხებისა და ხელფასის ზრდაში, რეგიონული მრეწველობის მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

საქართველოში ხაზი უნდა გაესვას მსხვილი კონკურენტუნარიანი სტრუქტურების შექმნის მიზანშეწონილობას. ასეთი სტრუქტურები შეიძლება იყოს დარგთაშორისი კლასტერული წარმონაქმნები, რომლებიც ხელს უწყობს საჭირბოროტო ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას და უზრუნველყოფს ეკონომიკის მზარდ განვითარებას; კლასტერების ჩამოყალიბება უნდა მოხდეს ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული სახეების მიხედვით, რომელთა ეფექტიანი საქმიანობა ხელს შეუწყობს რეგიონის კონკურეტუნარიანობის ამაღლებას. მისი შედეგი იქნება ტერიტორიების არსებული რესურსების გამოყენება რეგიონის ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და დემოგრაფიული მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით.

წარმოგიდგენთ რეგიონული კლასტერის მართვის მექანიზმს, რომლის გამოყენება განაპირობებს რეგიონის კონკურენტუნარიანობის ხარისხის ზრდას გლობალურ ეკონომიკაში. აღნიშნული მექანიზმის საფუძველია კორპორაციული მართვის სისტემა, რომელიც გამოიყენება რეგიონული კლასტერის მართვისთვის და წარმოადგენს ფედერალური და რეგიონული ხელისუფლების, მეწარმეებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოქმედებათა შეთანხმებისა და სინქრონიზაციის, აგრეთვე, რეგიონის არამატერიალური აქტივების აქტივიზაციის ინსტრუმენტებს.

თანამედროვე რეგიონული განვითარება ხასიათდება იმით, რომ არასაბაზრო გარემოში წარმოქმნილმა და განვითარებულმა რეგიონებმა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას შეწყვიტონ ღია ბაზრის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ორგანიზაციულ-მმართველობითი პროცესების მასშტაბებთან შესაბამი

სობა, რომელიც ითვალისწინებს კონკურენციას როგორც მცირე ეკონომიკური სუბიექტების დონეზე, ასევე ფედერალურ დონეზე.

რეგიონების კონკურენტუნარიანობის თეორია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია.

„რეგიონის კონკურენტუნარიანობა გამოხატავს მრავლობითი ურთიერთობის ერთობლიობას რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით სხვა რეგიონებთან ურთიერთქმედებაში. როგორც რეგიონის პოტენციურ და რეალიზებულ კონკურენტულ შესაძლებლობათა მახასიათებელი შეჯიბრებითი ურთიერთობების სფეროში რეგიონებს შორის, ტერმინ „რეგიონის კონკურენტუნარიანობას“ უდავოდ აქვს არსებობის უფლება ეკონომიკური კატეგორიის სახით, რომელიც ასახავს რეგიონის, როგორც კონკურენციის სუბიექტის პოზიციას.

ზოგადად შეიძლება ვილაპარაკოთ რეგიონთაშორისი კონკურენციის ორი ტიპის არსებობაზე:

- ვერტიკალური, ე. ი. ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლების სხვადასხვა დონეს შორის კონკურენცია სახელისუფლებო უფლებამოსილებებისა და ფინანსური რესურსების განაწილების მოცულობაზე;
- ჰორიზონტალური, ე. ი. რეგიონებს შორის კონკურენცია მობილური რესურსებისთვის. კონკურენციის ობიექტია ყოველივე ის, რაც შეიძლება, გამოყენებულ იქნას შემოსავლის რეალური ან პოტენციური წყაროს სახით (კვალიფიციური შრომისუნარიანი მოსახლეობა, ინვესტიციები, ბუნებრივი რესურსები, გასაღების ბაზრები, სატრანსპორტო-

ლოგისტიკური რესურსები, რეგიონის იმიჯის შესაქმნელად მსხვილი ღონისძიებების ჩატარება და ა. შ.).

რეგიონში ეკონომიკური პროცესები მიმდინარეობს უწყვეტად, ერთიანი ნაკადით, ამიტომ პროცესები იკვრება: კონკურენციის შედეგები მოქმედებს წარმოების ფაქტორებზე, შემდეგ კი შედის მათ შემადგენლობაში, ხოლო საწარმოო ფაქტორები, თავის მხრივ, გაშუალებულად მოქმედებს კონკურენციის შედეგებზე – ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესების და ახალ აუცილებელ რესურსებზე მოთხოვნების დონის ზრდით. მიმდინარეობს უწყვეტი განახლების პროცესი, რომლის დროსაც რეგიონული კონკურენტუნარიანობის ხარისხი იზრდება. რეგიონი აღწევს წარმატებას კონკურენტულ ბრძოლაში, თუმცა ეს მას არ ხდის კონკურენტუნარიანს აბსოლუტური გაგებით, შესაძლებელია მხოლოდ კონკურენტუნარიანობის ხარისხზე ლაპარაკი.

რეგიონის კონკურენტუნარიანობის აბსოლუტიზაციის შეუძლებლობას განაპირობებს შემდეგი მიზეზები: საბოლოო მოხმარების პროდუქციის წარმოებაში რეგიონის ადგილის განმსაზღვრელი შრომის საერთაშორისო დანაწილება; რეგიონის სპეციალიზაციის დარგებისთვის აუცილებელი წარმოების ფაქტორების თავმოყრის განმსაზღვრელი რეგიონის ისტორიული სპეციალიზაცია; ნივთიერებისა და ენერგიის ამოღების დასაშვები ნორმების განმსაზღვრელი გარე საზღვრების მიღწევა, რომელთა გადაჭარბება განაპირობებს გარემოს უკურეაქციას (დედამიწის სფეროს მიერ ბიფურკაციის წერტილის მიღწევა, რომელშიც სისტემები ახალ მდგომარეობაში გადადის).

კონკურენტულ ბრძოლაში რეგიონის უპირატესობაა ისეთი ხარისხისა და დონის წარმოების ფაქტორების არსებობა, რომლებიც მიმზიდველი იქნებოდა პოტენციური „დონორებისთვის“.

ტრადიციულად, სამამულო ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ განლაგების ფაქტორების შემდეგ ჯგუფებს: ბუნებრივს, დემოგრაფიულს, ეკონომიკურ-გეოგრაფიულს, ეკონომიკურს. ბოლო წლების უმნიშვნელოვანესი ტენდენციაა ის, რომ გაზომვადი ფაქტორების მნიშვნელობა (მიწა, სამუშაო ძალა, კაპიტალი და ა. შ.) შემცირდა რაოდენობრივად ძნელადგაზომვადი კატეგორიების სასარგებლოდ (პოლიტიკური სიტუაციის სტაბილურობა, რეგიონის მთავარ მოქმედ პირთა დამოკიდებულება ეკონომიკის მიმართ და ა. შ.), თუმცა კონკურენტი რეგიონების ასპექტში უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტორებს, რომლებიც დამახასიათებელია რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის დარგების სპეციალიზაციისთვის.

თუკი წარმოების ფაქტორები კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების მიღწევის წანამძღვარია, კონკურენტუნარიანობის შედეგები ვლინდება ისეთ მაჩვენებლებში, როგორიცაა: შრომის მწარმოებლურობის ზრდა; ეკონომიკური ზრდა ეკონომიკის ტრადიციული და ახალი დარგების სტაბილური განვითარების შედეგად, რაც ემყარება წარმოებაში ინოვაციების სწრაფ დანერგვას; საქონლისა და მომსახურების ხარისხის ზრდა იმ პარამეტრებით, რაც უზრუნველყოფს შიგა და გარე მოთხოვნის დაკმაყოფილებას; ყურადღების გამახვილება ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობის, სასარგებლო წიაღისეულის, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობისა და სხვა რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე; მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

რეგიონის კონკურენტუნარიანობის ზრდას აფერხებს არაერთი ფაქტორი: საწარმოები და რეგიონები კონკურენტუნარიანობის ამაღლების წყაროდ განიხილავენ მოგების მაქსიმიზაციას (ეს მიზანი გაცხადებულია რეგიონულ კომპანიათა სტრატეგიული მიზნების ფორმულირებებში), მაშინ, როცა პოსტინდუსტრიული ეპოქის მამოძრავებელ ძალად აღიარებულია ინტელექტი, ხოლო კონკურენტუნარიანობის წყაროდ – დამატებული ღირებულება; არამატერიალური აქტივები მეწარმეთა მიერ არ აღიქმება კონკურენტუნარიანობის ხარისხის ამაღლების წყაროდ, მაშინ, როცა მატერიალური აქტივების ხარჯზე კონკურენტუნარიანობის ზრდის შესაძლებლობა პოსტინდუსტრიულ ეპოქაში იწურება.

რეგიონის კონკურენტუნარიანობის მართვის სუბიექტებად გვევლინება ყველა დაინტერესებული პირი: სახელმწიფო და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები, მეწარმეები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები (ეკოლოგები). მოცემული ტერ-

იტორიის ფარგლებში მართვის ობიექტებია ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური პროცესები. რეგიონის კონკურენტუნარიანობის მართვა მიმართულია არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენებისკენ რეგიონის მდგრადი განვითარებისა და მოქალაქეთა კეთილდღეობის გაუმჯობესების, ასევე რისკების მინიმიზაციის უზრუნველსაყოფად. რეგიონის კონკურენტუნარიანობის მართვის ინსტრუმენტი მეურნეობრიობის საბაზრო სისტემისა და განვითარების პოსტინდუსტრიული ეტაპის ადეკვატური უნდა იყოს.

რეგიონის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად გამოყოფენ სამ ძირითად კონცეფციას: კლასტერული მიდგომა; რეგიონის ინოვაციური სისტემის განვითარება; რეგიონის კონკურენტუნარიანობის შექმნის პოტენციური ფაქტორები.

საზღვარგარეთული გამოცდილება ცხადყოფს, რომ კლასტერული მიდგომა მთელ მსოფლიოში აღიარებულია, როგორც რეგიონულ ეკონომიკათა კონკურენტუნარიანობის ამაღლების წარმატებული პოლიტიკა. კლასტერების ფუნქციონირების დადებითი მაგალითები არსებობს აშშ-ში, ფინეთში, გერმანიაში, იტალიაში, იაპონიაში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში.

კლასტერების მაღალ კონკურენტუნარიანობასა და სტაბილურობას განსაზღვრავს ახალი ტექნოლოგიების გავრცელების, მეცნიერების, განათლების, დაფინანსების, სახელმწიფო პოლიტიკისა და მრეწველობის ურთიერთქმედების ხასიათისა და სტრუქტურის მასტიმულირებელი ფაქტორები, თუმცა საკმაოდ წინააღმდეგობრივია ინოვაციური საქმიანობის ურთიერთობა საბაზრო ეკონომიკასთან, კლასტერის განვითარების გარემოსთან. ერთი მხრივ, საბაზრო ურთიერთობათა ფარგლებში ვლინდება ისეთი ინოვაციური მოღვაწეობის მასტიმულირებელი კრიტერიუმები, როგორიცაა: სოციალური აქტივობა, შემოქმედებითი ინიციატივა, ბაზრის სელექციური უნარი – უზრუნველყოს ყველაზე ეფექტიანი და ადაპტირებული ინოვაციების შერჩევა და გადარჩენა, მეორე მხრივ, საბაზრო ურთიერთობა ვერ ჩაითვლება ინოვაციურ პროცესებზე ზემოქმედების სრულყოფილ ფორმად, ვინაიდან ბაზრის სამეურნეო სუბიექტების ქცევაში ჭარბობს მოკლევადიანი კონიუნქტურული გადაწყვეტილებები, ხოლო ინოვაციური და ინვესტიციური საქმიანობა გათვლილია გრძელვადიან პერიოდზე; იგნორირებულია არასაწარმოო ფაქტორები – ეკოლოგია, სოციალური სფერო.

გარდა ამისა, ინოვაციის პროცესის უზარმაზარი კაპიტალტევადობის გათვალისწინებით, გონივრულად გვეჩვენება ცალკეულ კონკურენტუნარიან დარგებში, სელექციური სამრეწველო პოლიტიკის გატარება ინოვაციური განვითარების საფუძველზე, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ამ დარგების სწრაფ განვითარებას და მათი კონკურენტული უპირატესობების განმტკიცებას მსოფლიო ბაზარზე, ხოლო, მეორე მხრივ, თავიდან ააცილებს დანახარჯიან და ნაკლებეფექტიან პროცესებს იმ დარგების განვითარებაში, რომლებსაც იმ მომენტისთვის არ შეუძლია კონკურირება სხვა ქვეყნების იდენტურ დარგებთან.

მოკლედ, კლასტერი საწარმოთა ტერიტორიული გაერთიანებაა მართვის სხვადასხვა სტრუქტურით, ბიზნესის წარმოების კულტურითა და სტრატეგიული მიზნებით, რომელთა გაერთიანება აუცილებელია რეგიონის მდგრადი განვითარების ამოცანის – საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეგიონის რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებისთვის.

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციაში ხაზგასმულია რეგიონული განვითარების მართვისთვის ინსტრუმენტთა ნაკრების – საბიუჯეტო ტრანსფერტებისა და რეგიონული მიზნობრივი პროგრამების – შეზღუდულობა. მართვის ადმინისტრაციული ფორმის მეურნეობრიობის საბაზრო სისტემით შეცვლისას არ მოხდა ქვეყნის რეგიონული განვითარების სუბიექტების, მუნიციპალური წარმონაქმნების სტრატეგიის შეთანხმებისა და სინქრონიზაციის თანამედროვე მექანიზმების დანერგვა. რეგიონული კლასტერი, რომელსაც არ გააჩნია ყველა დაინტერესებული პირის ინტერესების შეთანხმებისა და სინქრონიზაციის მექანიზმი, არ შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ინსტრუმენტი.

საზოგადოების რეფორმირების პროცესი სიახლეს არ მიიღებს წარსულში დაგროვილი რაციონალური ელემენტების გამოყენების გაუთ-

ვალისწინებლად. მაგალითად, საქართველოს და სახლვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკებში საწარმოებისა და ჰოლდინგების მართვისთვის წარმატებით იყენებენ კორპორაციული მართვის (კმ) სისტემას. ის იგება ოთხი პრინციპის – გამჭვირვალეობის, ანგარიშვალდებულების, პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის – დაცვით.

კმ-ის პრინციპების დაცვა დამოკიდებულია მეურნე სუბიქტის უნარზე, მოახდინოს მეურნე სუბიექტის თანამშრომლების ცოდნისა და უნარის კონცენტრირება და გააქტიურება, ააგოს ურთიერთობები დაინტერესებულ პირებთან საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობების დაცვით, შექმნას მეურნე სუბიექტის შიგა კულტურა, რომელიც საერთო შედეგის მისაღწევად უზრუნველყოფს ცალკეული სპეციალისტის მიერ მათზე დაკისრებული უფლებამოსილებების შესრულებისას საკუთარი მნიშვნელობის გაგებას (ნახაზი 1).



ნახაზი 1. კორპორაციული მართვის მექანიზმის ეკონომიკური არსი

ამრიგად, კორპორაციული მართვის პრინციპების დაცვის სისრულე დამოკიდებულია კორპორაციული მართვის მექანიზმის უნარზე, მიიყვანოს მეურნე სუბიექტის არამატერიალური აქტივები საჭირო ხარისხობრივ დონემდე. კორპორაციული მართვის გავლენის საშუალებები არამატერიალურ აქტივებზე შემდეგია: სამეურნეო სუბიექტის მართვის ორგანოების მკაფიო სტრუქტურის შექმნა თანამდებობრივი უფლებამოსილებების დაკისრებით; კოლექტივის ფინანსური დაინტერესება მეურნე სუბიექტის საქმიანობის შედეგებით; საზოგადოების მოღვაწეობის შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და კორპორაციული მართვის პრინციპების მიმართ.

კლასტერის არამატერიალური აქტივების ხარისხის ზრდა წარმოგვიდგება შემდეგი სახით:

- ადამიანური კაპიტალი. მეურნე სუბიექტებისა და კლასტერში დასაქმებულთა დაინტერესებისა და ხელფასის ოდენობის მიყვანა ისეთ დონემდე, როცა კლასტერს შეუძლია, გახდეს მიზიდულობის ცენტრი არა მარტო რეგიონული, არამედ გლობალური დონის მაღალი კლასის სპეციალისტებისთვის;
- ურთიერთობითი კაპიტალი. არა მარტო საწარმოთა თანამშრომლებთან, არამედ

რეგიონის დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობების პრაქტიკული განვითარება;

- სტრუქტურული კაპიტალი. ესაა კომპანიის ერთიანი ფილოსოფიის შექმნა, რომელსაც მხარს უჭერს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, გლობალურ დონეზე – კლასტერის ვალდებულებათა შესრულების დამატებითი გარანტიები დაინტერესებული პირების წინაშე.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი გლობალური გამოცდილება ღირებული კაპიტალია კორპორაციული მართვის გამოსაყენებლად რეგიონული მართვის პროცესებში. კორპორაციული მართვის მექანიზმი სავსებით გამოსადეგია მესაკუთრისა და ხელისუფლების ურთიერთობათა გასაუმჯობესებლად.

კორპორაციული მართვის პრინციპების დაცვის შედეგი, რომელიც ითვალისწინებს საწარმოსა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებს, არის რეგიონის მდგრადი განვითარების ამოცანათა გადაწყვეტა და საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირება თანამედროვე ეკონომიკაში.

კლასტერის მონაწილეთა მოქმედებების შეთანხმებისა და სინქრონიზაციის მექანიზმის სახით, შემოთავაზებულია მექანიზმი, რომლის საფუძველიცაა რეგიონული პროცესების მართვაში გამოყენებული კორპორაციული მართვის პრინციპები და ინსტიტუტები.

ამ მოდელის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კორპორაციული მართვა გამოიყენება, როგორც ფედერალური, რეგიონული ხელისუფლების, ბიზნესისა და დარგობრივი სტრუქტურების ინტერესთა წონასწორობის (დაბალანსების) მექანიზმი.

მექანიზმის ფუნქციები შემდეგია: რეგიონის სტრატეგიული განვითარება კლასტერის სინერგეტიკული ეფექტის საფუძველზე; კლასტერში შემავალი დაინტერესებული სუბიექტების ინტერესთა დაბალანსება; ყველა დაინტერესებული სუბიექტის ჩაბმა კლასტერის მართვაში; უფლებებისა და ვალდებულებების განაწილება იმგვარად, რომ გაიზარდოს მონაწილე სუბიექტების კონკურენტუნარიანობა.

კლასტერის დანერგვის პროცესს ჩვენ აღვიქვამთ, როგორც ბიზნესისა და ხელისუფლების ინტერესთა წონასწორობის პროცესს, რომლის დროსაც ხდება მეურნე სუბიექტების ეფექტიანობის ამაღლების გზების ძიება და, შესაბამისად, ეკონომიკის სხვადასხვა დონის სუბიექტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაც.

ამრიგად, რეგიონულ კლასტერში ბიზნესის გაერთიანება მართვის საბაზრო მექანიზმის გამოყენებით (კორპორაციული მართვა) უზრუნველყოფს არამატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ზრდას; რეგიონის ჩაბმას კონკურენტულ ბრძოლაში მის ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციის დამატებული ღირებულების, ასევე რეგიონის კონკურენტუნარიანობის ხარისხის ამაღლების მიზნით, ამავდროულად, ბიზნესის, რეგიონისა და სახელმწიფოს ჰარმონიულ განვითარებას.

რეგიონულ მეურნეობათა ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობა ახალ ამოცანებს უსახავს ტერიტორიებს, რომლებიც უპირველესად დაკავშირებულია რეგიონული ეკონომიკის კონკურენტუნარიანი მოდელის შერჩევასთან, რაც მათ არსებული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.

არსებობს კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისა და განვითარების სხვადასხვა თეორია, რომელთაგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთია ეკონომიკის კლასტერული მართვის თეორია. იგი ფართოდ გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, წარმატებული კლასტერების კლასიკური მაგალითებია საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე „სილიკონის ველი“, ჰელსინკის ტელესაკომუნიკაციო, კინოფილმების წარმოების ჰოლივუდის კომპანიათა ჯგუფი. კლასტერის კონცეფცია პერსპექტიული ინსტრუმენტია რეგიონის ეკონომიკის ანალიზისთვის და ახლებურ ხედვას ქმნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებით დაინტერესებული ხელისუფლების რეგიონული ორგანოების, საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების როლთან დაკავშირებით.

კლასტერული მეთოდის გამოყენება მის მონაწილეებს შორის მჭიდრო კონტაქტის აუცილებლობის გამო განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონულ დონეზე, რაც, თავისთავად, გულისხმობს ერთგვარ ტერიტო-

რიულ შეზღუდვებს. მხოლოდ ერთ რეგიონში განლაგება იძლევა საერთო ამოცანების სწრაფად გადაწყვეტის, პრობლემის ოპერატიულად მოგვარების, ასევე საქმიანობის იმ მიმართულების არჩევის შესაძლებლობას, რომელიც მოცემული ტერიტორიისათვის ამჟამად კონკურენტუნარიანია და მომავალში კი სარგებლის მომტანი იქნება. რეგიონული ეკონომიკის კლასტერული მართვის კონცეფცია ასევე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში საგარეო ეკონომიკური საქმიანობის როლის გაძლიერების კუთხით, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, რადგან გვაძლევს შესაძლებლობას, განვსაზღვროთ ეკონომიკური პოტენციალის მქონე პრიორიტეტული დარგები. ისინი ხელს უწყობენ კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, იმ ფაქტორებისა და ელემენტების გამოვლენას, რომლებიც ზემოქმედებენ კონკურენტულ უპირატესობათა განვითარების ხარისხზე საგარეო ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ჭრილში.

ეკონომიკის კლასტერული მართვის ერთ-ერთი უპირატესობაა ეკონომიკური ფაქტორების როლის გაძლიერება და ადმინისტრაციული ფაქტორების როლის შემცირება. ხელისუფლების რეგიონული ორგანოების როლი მაღალია მხოლოდ კლასტერების ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე, კერძოდ: რეგიონის საგარეო ეკონომიკური კომპლექსის შეფასებაში, ყველაზე პერსპექტიული კლასტერების შერჩევასა და მათ ფორმირებაში. ის განპირობებულია რეგიონული განვითარების იმ ინტერესების გათვალისწინებით, რაც ნაკლებად პრიორიტეტულია ბიზნესისთვის. შემდგომში რეგიონული ხელისუფლების როლი ნაკლებად იკვეთება და მის ადგილს იკავებს საბაზრო ეკონომიკის კანონები, რომლებიც სტიმულს აძლევს ყველაზე სარგებლიანი წარმოების განვითარებას. ხელისუფლების რეგიონული ორგანოების როლი კი გამოიხატება მნიშვნელოვანი კლასტერების მხარდაჭერაში.

რეგიონის საგარეო ეკონომიკური კომპლექსის მართვა, კლასტერიზაციის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, გულისხმობს რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ზოგად რეგულირებას. ამ შემთხვევაში რეგიონულ მთავრობას შეუძლია, განახორციელოს რეგიონის საგარეო ეკონომიკური კომპლექსის განვითარების კოორდინაციის ფუნქცია საგამოფენო-საბაზრობო საქმიანობის განხორციელების, საგადასახადო გარანტიების, შედავათებისა და სუბსიდიების გაცემის გზით.

მთავრობამ ამ ღონისძიებათა სისტემით სტიმული უნდა მისცეს მაღალკონკურენტული მზა პროდუქციის (უფრო მაღალი ხარისხის მქონე პროდუქციის) გამოშვებას და არ უნდა ჩაერიოს უფრო დაბალი დონის პრობლემების გადაწყვეტაში.

რეგიონული ეკონომიკის მართვის დროს, კლასტერული მეთოდის გამოყენებისას, მნიშვნელოვანია შემდეგი ძირითადი არგუმენტები:

1. კონკურენციისა და კონკურენტული უპირატესობების მიღწევის წყაროებთან მაღალი შეთანხმებულობა.

2. დარგთაშორისი კავშირების ეფექტიანი უზრუნველყოფა; უახლესი ტექნოლოგიების, ჩვევებისა და ინფორმაციის გავრცელება.

3. შიგა სპეციალიზაციისა და სტანდარტიზაციის განხორციელების შესაძლებლობა; შრომის მწარმოებლურობის გადიდება.

4. ინოვაციების დანერგვაზე დანახარჯების მინიმიზაცია; კლასტერების სტრუქტურაში მოქნილი სამეწარმეო სტრუქტურების არსებობა, რომელთა შორის მოვიაზრებთ: მცირე საწარმოებს, რომლებიც კონკრეტული სამრეწველო საწარმოს მომსახურებისას სპეციალიზაციის მაღალი ხარისხის ხარჯზე ზრდიან ინოვაციური წყაროების ჩამოყალიბების შესაძლებლობას და შემდგომ მათ დანერგვას უწყობენ ხელს.

5. სპეციალისტებს შორის იდეების ეფექტიანი გაცვლის შესაძლებლობა და, აქედან გამომდინარე, კონკურენტული გარემოს შექმნა.

კლასტერული ანალიზი შეიძლება საფუძვლად დაედოს კონსტრუქციულ დიალოგს მეწარმეებსა და ხელისუფლებას შორის საერთო პრობლემების, ინვესტიციური შესაძლებლობების გამოვლენის, სამრეწველო პოლიტიკის კორექტირებისა და ინოვაციური პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

საქართველოს რეგიონებთან მიმართებით არსებობს მთელი რიგი გარემოებები, რომლებიც ხელს უწყობენ ან ნეგატიურ გავლენას ახდენენ კლასტერების ჩამოყალიბებაზე. პოზიტიური პირობებიდან აპრიორი უნდა მივაკუთვნოთ ტექნოლოგიური და სამეცნიერო ინფრასტრუქტურების არსებობას; ისტორი-

ულად ჩამოყალიბებულ საწარმოო-ეკონომიკურ კავშირებზე დამყარებულ კოოპერაციისათვის ფსიქოლოგიურ მზადყოფნას.

ნეგატიურ ფაქტორებს განეკუთვნება ბიზნეს-გარემოს შედარებით დაბალი ხარისხი და ასოციაციური სტრუქტურების (სავაჭრო პალატების, სამრეწველო ასოციაციების) განვითარების დაბალი დონე. აღნიშნული სტრუქტურები ვერ ართმევენ თავს რეგიონული ეკონომიკის განვითარებისთვის პრიორიტეტების შემუშავების ამოცანას, ფართოდ გამოყენებული დაგეგმვის მოკლევადიანი ჰორიზონტის შემთხვევაში, მაშინ, როცა კლასტერული მართვის პირობებში რეალური სარგებელი კლასტერის განვითარებისგან მხოლოდ 5-7 წლის შემდეგ მიიღება.

მიუხედავად ამისა, რეგიონული კლასტერების საფუძველზე ეკონომიკის მართვას აქვს მთელი რიგი უდავო უპირატესობები, რომელთაგან უმთავრესია:

1. დასაბეგრი ბაზის გადიდება (მცირე და საშუალო ბიზნესის მართვის ცენტრები, როგორც წესი, იმავე ტერიტორიაზე მდებარეობს, სადაც ბიზნესი ხორციელდება, განსხვავებით ვერტიკალური კორპორაციებისგან).

2. სამრეწველო გაერთიანებების ჩამოყალიბების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს რეგიონის მოსახლეობის დასაქმებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და ა. შ.

3. რეგიონის ზარალიანი საწარმოების ორიენტაციის მიზანმიმართული შეცვლის შესაძლებლობა.

4. რეგიონული კლასტერების განვითარების პრიორიტეტულობის საფუძველზე ინვესტიციური ნაკადის რეგულირებისა და მათი დაბანდების ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობა.

5. რეგიონში სამეწარმეო აქტივობის ამაღლება.

6. ინოვაციური პოტენციალის განვითარება კლასტერის ყველა საწარმოსთვის ინოვაციების სწრაფი განაწილების მეშვეობით.

რეგიონული კლასტერის არსებობა შესაძლებელია მაშინ, როცა გვაქვს სამი ძირითადი მდგენელი:

1. ლიდერი ფირმა, რომელიც უშვებს მაღალკონკურენტულ პროდუქციას და ეწევა მის ექსპორტს;

2. მომწოდებელთა ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს საბოლოო საექსპორტო პროდუქციის უწყვეტ გამოშვებას. სწორედ მომსახურე საწარმოების განვითარების დონესა და მუშაობის ხარისხზეა დამოკიდებული მთლიანად კლასტერის კეთილდღეობა;

3. ბიზნესკლიმატი ან კლასტერის საწარმოთა საგარეო და შიგა კონკურენტუნარიანობა, რომელიც მოიცავს შრომითი რესურსების ხარისხს, ინვესტიციური ნაკადის ხელმისაწვდომობას, კლასტერის განლაგების რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარების დონეს, რეგიონის სამეცნიერო-კვლევით პოტენციალს და ა. შ.

ხშირად პრაქტიკაში იყენებენ რეგიონული კლასტერების ჩამოყალიბების ალგორითმის ბლოკ-სქემას. პირველ ეტაპზე აუცილებელია რეგიონის დარგობრივი სპეციალიზაციის შეფასება და მისი განვითარების ტენდენციების გაანალიზება. რეგიონების ეკონომიკას აქვს სათანადო სამრეწველო ბაზა და პირველ ეტაპზე ყველაზე რეალურია კლასტერების ჩამოყალიბება არსებული რეგიონული რესურსების ბაზაზე.

საგარეო ვაჭრობის კლასიკურ თეორიებზე დაყრდნობითა და ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში პროდუქციის წარმოების მოცულობის, დასაქმებისა და შრომის მწარმოებლურობის უფრო მაღალი მაჩვენებლების დადასტურებული ფაქტის გათვალისწინებით, შემოთავაზებულია წარმოების მოცულობის, დასაქმების, შრომის მწარმოებლურობის, ძირითად კაპიტალში ინვესტიციების, უცხოური ინვესტიციების, ექსპორტისა და იმპორტის ლოკალიზაციის კოეფიციენტების გამოყენება.

ამასთან, აუცილებელია, მაშინვე განისაზღვროს დარგის მნიშვნელობა რეგიონის ეკონომიკისთვის: ექსპორტზე ორიენტირებული, იმპორტჩამნაცვლებელი ან შესაბამისი კოეფიციენტების მნიშვნელობის საფუძველზე დადგენილი რეგიონული საჭიროებების დარგი.

მაგალითად, თუ ლოკალიზაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა აღემატება 1,25-ს, დარგი ექსპორტზე ორიენტირებულია, თუ მნიშვნელობა მერყეობს 0,75-სა და 1,25-ს შორის, მიზანშეწონილია მისი ჩათვლა იმპორტირებულად, ხოლო თუ ლოკალიზაციის კოეფიციენტების მნიშვნელობა ნაკლებია 0,25-ზე, მაშინ

აღნიშნული დარგი გამოიყენება რეგიონის მასშტაბით.

კლასტერების ჩამოყალიბებისა და მათგან ყველაზე პრიორიტეტულების არჩევისას საჭიროა ლოკალიზაციის კოეფიციენტების დინამიკის შეფასება, რადგან მაჩვენებლების მნიშვნელობების გადიდება დინამიკაში მოწმობს კლასტერების ზრდის შესაძლო პერსპექტივებზე, ხოლო შემცირება – გამოსაშვები პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების შესაძლო აუცილებლობაზე, წარმოების მოდერნიზაციის აუცილებლობაზე ან კლასტერის არაპერსპექტიულობაზე.

შემდგომი ეტაპია ექსპორტზე ორიენტირებული დარგებისათვის ექსპორტის სტრუქტურის რაციონალურობის შეფასება, იმპორტისა – იმპორტორიენტირებული დარგებისთვის დაჩატარებული შეფასების საფუძველზე საგარეო ეკონომიკური ოპერაციების ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბება.

1.4. ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების და კლასტერების შედარება

ახლა გავაანალიზოთ მსგავსება და განსხვავება ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების (ტსკ-ის) თეორიასა და კლასტერების კონცეფციაში. თავდაპირველად ავიღოთ სივრცის გარეშე ასპექტი, ე. ი. სამრეწველო კლასტერები და ტერიტორიულ-საწარმოო შეხამება. აქ აშკარაა მრავალი მსგავსი მახასიათებელი: ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების (ტსკ-ის) თეორიაშიც და სამრეწველო კლასტერების კონცეფციაშიც, რომელიც წარმოდგენილია მ. პორტერის მიერ, შესწავლის ობიექტია დარგების ჯგუფი, რომელიც ტერიტორიულ-საწარმოო შეხამების (ტსშ) შემთხვევაში ოპტიმალურად ეხამება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში, ხოლო სამრეწველო კლასტერის შემთხვევაში – ქვეყნის ან რეგიონის ყველაზე კონკურენტუნარიანი და ურთიერთდაკავშირებული მეურნეობის დარგებია.

აგრეთვე მსგავსია სივრცის გარეშე ტერიტორიულ-საწარმოო შეხამებისა (ტსშ-ის) და სამრეწველო კლასტერების გამოყოფის მეთოდები. მაგალითად, ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, რომ, როდესაც კომპლექსს უდგები, როგორც ურთიერთდაკავშირებული წარმოებების სივრცის გარეშე სამრეწველო შეხამების ჯგუფს, რომელიც განლაგებულია მსხვილი ეკონომიკური განყოფილების ფარგლებში, ჩვეულებრივ იყენებენ იმ დარგების დაჯგუფების მეთოდებსა და მაჩვენებლებს, რომლებიც მოცემულია

დანახარჯები-გამოშვების ცხრილებში წარმოებათა ჯგუფის შემადგენლებს შორის ყველაზე მეტი ურთიერთქმედების პრინციპით. მათ განეკუთვნება ფაქტორული ანალიზი, კორელაციის მაჩვენებლები დარგებს შორის ყველა დარგთაშორისი ნაკადის ან მხოლოდ პირდაპირი კავშირის საფუძველზე. სამრეწველო კლასტერების შემთხვევაში, ჩვეულებრივ, გამოიყენება დარგთაშორისი ბალანსის მეთოდი (დანახარჯები-გამოშვება), გრაფათა თეორია ან დამატებული ღირებულების ჯაჭვის მეთოდი.

ახლა მივუბრუნდეთ რეგიონული კლასტერებისა და ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების (ტსკ-ების) შედარებას. აქ უკვე თვალსაჩინოა ძირეული განსხვავება როგორც თეორიულ აგებაში, ისე თავად ტერმინების მნიშვნელობაში. განსხვავებები განვიხილოთ თანამიმდევრობით:

1. ეს კონცეფციები შემუშავდა აბსოლუტურად სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემაში. თუკი საბაზრო სისტემაში მეწარმე თავად განსაზღვრავს თავისი ინვესტიციების ადგილმდებარეობას და დაბანდების ფორმას მოგების მაქსიმიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, საბჭოთა სისტემაში საუბარი იყო სახელმწიფო საწარმოებში წარმოების დანახარჯების შემცირებაზე და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე სახელმწიფო-საგეგმო ეკონომიკის თვალსაზრისით. სხვაობა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემებში განსაზღვრავს ყველა დანარჩენ განსხვავებას ამ ორ თეორიულ შემუშავებას შორის.

2. რეგიონული კლასტერები და ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები (ტსკ-ები) ერთმანეთისგან განსხვავდება თავიანთი გენეზისით. ტსკ-ების მოდელები გაჩნდა საბჭოთა საგეგმო ეკონომიკის პირობებში მეცნიერების მიერ სამრეწველო წარმოების ოპტიმიზაციის თეორიული კვლევების გატარების შედეგად. ტსკ-ები შეიქმნა ხელოვნურად, სამთავრობო გადაწყვეტილებით

მეცნიერთა თეორიული შემუშავებების საფუძველზე. კლასტერები წარმოიქმნა საბაზრო ძალების მოქმედებების სივრცითი გამოვლენის შედეგად. ფირმები თავს იყრიდა კლასტერში გეოგრაფიული მდებარეობის აშკარა უპირატესობის გამო სხვა ფირმებთან შედარებით. საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ კლასტერების მენეჯერებს დაბეჯითებით ურჩევენ, არ შექმნან კლასტერები ახალ ადგილას ნულიდან, ვინაიდან ეს არახელსაყრელია, უბრალოდ განავითარონ უკვე არსებული კლასტერები.

3. კლასტერები და ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები (ტსკ-ები) მკაფიოდ განსხვავდება ერთმანეთისგან ტერიტორიული ნიშნის მიხედვით. ჩვეულებრივ, კლასტერები წარმოიქმნება ადრე ათვისებულ, მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში და განსაკუთრებით ხშირად აგლომერაციის ფარგლებში. ერთ ქალაქში შეიძლება, რამდენიმე კლასტერი წარმოიქმნას. ტსკ-ების მოდელები გამოიყენებოდა, ძირითადად, ახალათვისებული რაიონებისთვის მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვითა და უმეტესწილად, რთული ბუნებრივი პირობებით. მაგალითად, სსრკ-ში წარმოების გადაწევით აღმოსავლეთში მოხდა დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირის, ასევე შორეული აღმოსავლეთის მნიშვნელოვანი ტერიტორიების ათვისება. ლიბერალური კაპიტალისტური ეკონომიკის პირობებში ასეთი რამ შეუძლებელია. უპირველეს ყოვლისა, მეწარმეების წინაშე დადგება ასეთი მასშტაბური ათვისების მიზანშეწონილობის საკითხი, რაც მარტივი გადასაწყვეტი როდია.

4. განსხვავებულია კლასტერებისა და ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების (ტსკ-ების) სტრუქტურაც და სპეციალიზაციაც. კლასტერი – ესაა მუდმივად ერთმანეთთან კონტაქტში მყოფი დამოუკიდებელი ფირმების თავმოყრა, რომლებიც მუშაობენ ერთ დარგში ან ქვედარგებში, და კომპანიათა ჯგუფი, რომლებიც ძირითად ფირმებს უწევენ სერვისულ მომსახურებას. კლასტერის შემადგენლობაში, აგრეთვე, ხშირად შედის სახელმწიფო და საგანმანათლებლო და/ან კვლევითი ორგანიზაციები, არსებობს კლასტერის განვითარების მაკონტროლებელი ორგანო. ტსკ – ესაა დარგთაშორისი კომპლექსი, რომელშიც ძირითადი მნიშვნელობა აქვს ტსკ-ის ძირითადი სპეციალიზაციის განმსაზღვრელ საბაზისო ჯგუფის დარგებს, ასევე ვითარდება მაკომპლექტებელი დარგები. ტსკ-ის საქმიანობა რეგულირდება ცენტრალური ან რეგიონული ორგანოების მხრიდან. კლასტერში, პირიქით, გადაწყვეტილებას იღებენ თავად კლასტერის წევრები და ის განსახილველად ზემდგომ სახელმწიფო ორგანოებს არ გადაეცემა.

5. მსოფლიოში კლასტერების კონცეფციის დიდი გავრცელების მიუხედავად, არსებობს ტერმინი კლასტერის მრავალი განსაზღვრა. ყოველივე ეს მოწმობს, რომ უმეტესწილად კლასტერად გულისხმობენ იმას, რაც სინამდვილეში კლასტერი არაა. მაგრამ ამას შემქმნელები არ იწუნებენ, პირიქით, მოსწონთ კიდეც ამ ტერმინის უფრო ფართო გამოყენება. ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები (ტსკ-ი) – ესაა მკაფიო ტექნიკურ-ეკონომიკური მოდელი, რომელსაც სივრცეში აქვს აშკარად გამოხატული საზღვრები.

6. განსხვავებულია კლასტერებისა და ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების (ტსკ-ების) დარგების სპეციალიზაცია. კლასტერები ძირითადად ვითარდება მრეწველობის ახალ, მაღალტექნოლოგიურ დარგებსა და მომსახურების სფეროში, რომლებიც ორიენტირებულია მოხმარებაზე. კლასტერები, აგრეთვე, არსებობენ მსუბუქი მრეწველობის ტრადიციულ დარგებში, თუმცა ისინიც ორიენტირებული არიან მოხმარებაზე. ტსკ-ები აგრეთვე ხასიათდებიან, ძირითადად, შემდეგი დარგებით, ესენია: სამთო-მომპოვებელი, მეტალურგიული, ქიმიური მრეწველობისა და მძიმე მანქანათმშენებლობის, რომლებიც ორიენტირებული არიან მწარმოებლებზე.

7. კლასტერები და ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები (ტსკ-ები) ერთმანეთისგან განსხვავდებიან ინფორმაციის როლით თავიანთი სივრცითი სტრუქტურების ჩამოყალიბებაში. იმ ფირმათა უბრალო თავმოყრა, რომლებიც მუშაობენ მომიჯნავე დარგებში ერთ შტანდორტში, არ შეიძლება იწოდებოდეს კლასტერად. კომპანიებს შორის უნდა განვითარდეს საინფორმაციო ნაკადები, რომლებიც მოიცავს ურთიერთობას კომპანიებისა და მხარდამჭერი ინსტიტუტების თანამშრომლებს შორის. მომწიფებულ კლასტერში წარმოიქმნება მცირე და საშუალო საწარმოების ქსელური სტუქტურები. ტსკ-ების ფარგლებში ფუნქციონირებ-

და რამდენიმე მსხვილი ვერტიკალურად ინტეგრირებული ქარხანა, რომელთა თანამშრომლები ერთმანეთს შორის ცვლიდნენ საწარმოო პროცესისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. თითოეულ ქარხანას ჰქონდა თავის ნაკეთობათა მიწოდების გეგმა, რომლებსაც არ ამტიცებდა ქარხნების ხელმძღვანელობა, არამედ ეს ხდებოდა საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე.

8. კლასტერულ კონცეფციებში ადამიანები ასრულებენ განუზომლად მნიშვნელოვან როლს, ვიდრე ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების (ტსკ-ების) მოდელებში. კლასტერებში აღწევენ პროფილური სპეციალისტებისთვის ოპტიმალურ პირობებს სამუშაოს საპოვნელად და უფრო მაღალი ხელფასის მისაღებად, ვიდრე ფირმებში, რომლებიც კლასტერის გარეთაა. კლასტერების განვითარების სტიმულირების საბოლოო მიზანია ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაზრდა, რაც განაპირობებს მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონის ამაღლებას. ტსკ-ების მოდელებში (ადამიანური რესურსები, მომუშავეები) ადამიანები განიხილება, როგორც მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორი ბუნებრივ რესურსებთან და ინფრასტრუქტურასთან ერთად, ე. ი. როგორც ერთი ცვლადი მათემატიკურ მოდელში, რომელიც აღწერს ტსკ-ის შესაძლო განვითარებას. თუმცა აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ ტსკ-ის მოდელირებისას გათვალისწინებული იყო აგრეთვე დანახარჯი მთელი საბინაო-სოციალური კომპლექსის აგებაზე, რომელიც აუცილებელია ტსკ-ების საწარმოებში დასაქმებული ადამიანების ნორმალური ცხოვრებისთვის.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ორ კონცეფციათაგან თითოეული შეესაბამებოდა და შეესაბამება თავის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემას: მოდელი ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები (ტსკ) – სოციალისტურს, ხოლო კლასტერების კონცეფცია – კაპიტალისტურს. კლასტერების კონცეფცია არ ახდენს ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების (ტსკ-ების) კოპირებას, ასევე ისინი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან, თუმცა არსებობენ პარალელურად. ამასთან ერთად, თუკი ტერმინი „საწარმოო კლასტერის“ მნიშვნელობა არის სივრცის გარეშე ტერიტორიულ-საწარმოო შეხამების მნიშვნელობის მსგავსი, რეგიონული კლასტერი ძირეულად განსხვავდება ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსებისგან (ტსკ-ისგან). ამგვარად, თითოეული ეს თეორიული შემუშავება წყვეტს დროის მიერ მის წინაშე დასმულ თავის ამოცანას გეგმური ან საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლური მახასიათებლების შესაბამისად.